


ଶାର୍କରା ପୁସ୍ତକାଳୀଙ୍କ




ଅନ୍ଧାରୀରେ ଆଗିବା
କାହାର ବିଜ୍ଞାନଚିକିତ୍ସା



ଶାନ୍ତିର ମୁଦ୍ରଣକାଳୀ

ଅମ୍ବାଲୁଙ୍କୋ
ପାହିବା ପୂର୍ବକ
ବୀରପାତ୍ରମଧ୍ୟବିନ୍ଦୁ



„ଚାକାଙ୍ଗଣ“
ଟଙ୍କାଲିଟି

1984



75.578(4ИС)

796.3(460)

გ 443

ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ საბჭოთა კავშირს
ეწვიენ ბასყი ფეხბურთელები. მათ ნათელი კვალი
დატოვეს ფეხბურთის ისტორიაში. ლეგენდასაცით გა-
დადის თაობიდან თაობაში მათი თამაშის ამბავი, მიუ-
ხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ფეხბურთის კლასი
საგრძნობლად ამაღლდა.

წიგნი მოთხოვილია, როგორ თამაშობლები ისი-
ნი და რა საქმიანობას ეწევიან ამჟამად.

პირველი გამოცემა

© ნაკადული, 1984

70803—92
M ————— 142—84
M—603(08)—84

იმ ზაფხულს საფეხბურთო ციებ-ცხელებამ დაუარა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, მინსკის და სხვა ქალაქების მილიონობით ფეხბურთის თაყვანისმცემელთ.

აფუსფუსდა გულშემატკივარი, მოსვენება დაკარგა, სპორტულ ინფორმაციას მიეძალა...

... ბასკონიის ნაკრები, ბასკი ვირტუოზები ... გრანდები მოდიანო, მოედანზე თურმე სასწაულებს ახდენენო, თავით ისე ათამაშებენ ბურთს, შეუძლიათ მიწაზე არც დაუშვანო. ის ხმაც დაირხა, გუნდში ერთი ჰყოლიათ, ცალი ფეხი (რომელიც არ მახსოვეს!) „დალუქული“ ჰქონია და იმ ფეხით დარტყმის უფლება არა აქვსო (მოგვიანებით გავიგე, რომ ამ ლეგენდას ლანგარას უკავშირებდნენ)...

სამამულო ფეხბურთის ისტორია ოთხმოცდამეხუთე წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე რამდენჯერ შეცვლილა საფეხბურთო სტრუქტურები და ტაქტიკა, სათამაშო და საჩემპიონატო სისტემები. უცვლელი ერთი რამ დარჩა: მილიონობით ადამიანის სიყვარული, თაყვანისცემა სპორტის ამ ულამაზესი სახეობის მიმართ. ფეხბურთისადმი სიყვარული ადამიანებს თითქოსდა დაბადებიდანვე დაპყვათ და მას შემდეგ ასაკთან ერთად ერთგულად მეგზურობს მას. ამიტომაც არის, რომ როგორც საერთოდ სიყვარულმა, ფეხბურთისადმი სიყვარულმაც არ იცის ასაკი.



ფეხბურთი ჩვენდა უნებურად ფეტიშად იქცა. რატომუარა
თვისებების გამო?

როგორც დიდი ინგლისელი მწერალი ჯონ პრისტლი წერს:
„ფეხბურთი კონფლიქტი და ხელოვნებაა“. დამეთანხმებით,
ასე ამომწურავად, უფრო ლაკონური ფორმით განმარტება,
ალბათ, ძნელი საპოვნია.

სამამულო ფეხბურთის ისტორიაზე მოგახსენებლით. ჰოდა,
ხომ ხდება ისიც, რომ ესა თუ ის ეპიზოდი განსაკუთრებულად
დასამახსოვრებელია და კეთილისმყოფელ კვალს ტოვებს.
ასეთი ნათელი კვალი ჩვენს საფეხბურთო ისტორიაში დატოვა
ბასკეთის ფეხბურთობითა ნაკრები გუნდის ტურნემ საბჭოთა
ქვეყანაში.

1937 წლის 16 ივნისს, საბჭოეთის დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ უაღრესად გულთბილი შეხვედრა
მოუწყო ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავებს — ბასკეთის
ნაკრები გუნდის სპორტსმენებს, რომლებიც ევროპაში ჩატარებულ
ორთვიან ტურნეს ჩვენს ქვეყანაში გამოსვლებით
აგრძელებდნენ.

და რაოდენ სიმბოლური დამთხვევაა, რომ 45 წლის შემდეგ
მსოფლიოს მორიგმა XII საფეხბურთო ჩემპიონატმაც
სწორედ ესპანეთში აიღო სტარტი 1982 წლის 13 ივნისს.

ბასკი ფეხბურთელების ტურნე რამდენიმე ამოცანას ისახავდა მიზნად: იმას, რომ შეეგროვებინა სახსრები გმირული
ესპანეთის ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად, და იმასაც,
რომ მებრძოლი ესპანეთის მიმართ მსოფლიო საზოგადოებრიო
ობის ყურადღება მიეპყრო.

მძიმე დღეები იდგა იმხანად ესპანეთში.

1936 წლის ივლისის შუა რიცხვებში რეაქციონერმა გე-



ნერლებმა და ოფიცირებმა ამბოხება წამოიწყეს რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ.

მოვიტანთ ნაწყვეტს ნ. შპანოვის თავის დროზე განმაურებული დოკუმენტური რომანიდან „გამჩალებლები“:

„1936 წლის 17 ივლისს, განთიადისას, ესპანეთის მარკოს ქალაქ მელილის რადიოსადგური ეთერში გზავნიდა პირობით სიგნალს „მთელ ესპანეთზე ულრუბლო ცაა“, „მთელ ესპანეთზე ულრუბლო ცაა“...

18 ივლისს სიგნალი მიიღეს სევილიაში, სადაც სამხედრო გუბერნატორი იყო მუდამ მთვრალი გენერალი კლეიპო დე ლიანო. მან ქუჩაში გამოიყვანა გარნიზონი და დაიწყო ამბოხება. მანვე დაურიგა იარაღი ფალანგისტებს...


„მთელ ესპანეთზე ულრუბლო ცაა“, — იმეორებდა მელილია.

მოღალატე ოფიცირებს ჯარისკაცები ქუჩებში გამოჰყავდათ სამხეთ ესპანეთის ქალაქებში: კადიქში, გრენადაში, კორდოვაში. ჩრდილოეთში, ბურგოსის, პამპლონის, სარაგოსას, სალამანკას გარნიზონთა ამბოხებას სათავეში ჩაუდგა მოღალატე გენერალი ემილიო მოლა¹.

ამბოხების მეთავეობა უმაღლესი რანგის მოღალატემ, მთარქისტფაშისტმა გენერალმა დონ ფრანსისკო-და-ბაგამონდემ, ანუ ფრანკომ იყისრა.

ან კი, რეაქციული ძალები სად ნახავდნენ მასზე შესაფერის ობერჯალათს? ფრანკომ ხალხისადმი სიძულვილით თავი მანამდეც „გამოიჩინა“, როცა აქტიური მონაწილეობა მიიღო მაღრიდის საყველთაო გაფიცვის ჩახშობაში, 1934 წლის ოქტომბერში.

¹ Шпанов Н. Поджигатели. М. 1950, стр. 365.



საპარლამენტო არჩევნებში (1936 წლის დასაწყისი) ესპანეთის კომპარტიის ინიციატივით შექმნილი სახალხო ფრონტის გამარჯვებიდან სულ მაღლ ცნობილი გახდა, რომ ფრანგის ხელი ერთა რესპუბლიკური ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ ოფიციერთა შეთქმულებაში, მაგრამ ნიანგის ცრემლები ღვარა, იფიციებოდა, რომ მიერჩობოდა რესპუბლიკურ რეჟიმს. სახალხო ფრონტის მთავრობამ გენერალური შტაბის უფროსობიდან გადაყენება აკმარა და ესპანეთის მაროკოს გენერალგუბერნატორად დანიშნა. მაროკოში გაშინ მშვიდობიანი დროის ესპანეთის არმიის თითქმის მესამედი იყო განლაგებული.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გაამართლა ფიცი-მტკიცი ამ სისხლიანმა გენერალმა.

18 ივლისს ფრანკომ ფაშისტური გერმანიის სატრანსპორტო თვითმფრინავებით მეამბოხე დანაყოფები მაროკოდან სამხერეთ ესპანეთში გადაისროლა. „სისხლიანი ფაშისტური ვაკენალია დაიწყო“, — წერდა უურნალი „ბოლშევიკი“.

ხალხი აღდგა 16 თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების დასაცავად. აფეთქებულ ნაღმივით დაიქცეს მგზნებარე მოწოდებებმა: „უმჯობესია ზეზეულად სიკვდილი, ვიდრე დაჩიქილი ცხოვრება“, „უმჯობესია იყო გმირის ქვრივი, ვიდრე ცოლი ლაჩრისა“. იგი ეკუთვნოდა ესპანეთის სახალხო ტრიბუნს, ლეგენდარულ ღოლორეს იბარურს, რომელსაც ხალხმა პასიონარია — მგზნებარე შეარქვა.

400 ათასამდე ადამიანი პირველივე დღეებში გამოცხადდა პარტიულ და პროფესიულ კომიტეტებში და გამოთქვა მზადყოფნა ებრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. რესპუბლიკური ესპანეთის დამცველთა რიგებში ჩადგა ათასობით სპორტსმე-



ესპანეთის მთავრობის ჯარების სპორტული ბატალიონის
მებრძოლები მაღრიდის ფრონტზე. 1937 წ.

ნიც, უკეთესნი უკეთესთა შორის, ცხადია იქ იყვნენ ფეხბურთელებიც. ბასკეთის ნაკრების იმ 16 წევრიდან, ვინც ტურნეში მონაწილეობდა, ცხრა კაცი იარაღით ხელში ფრონტზე იბრძოდა. რესპუბლიკისადმი ერთგულება ჯალათმა ფრანკომ ლალატად მიიჩნია და სპეციალური ბრძანებით ათეულობით სპორტსმენს დაუსწრებლად სიკვდილით დასჭა მიუსახა. ამ

სიაში მოხვდნენ ბასკეთის ნაკრების კაპიტანი ლ. რეგისტრი და ი. ლანგარა. „ჩვენ მხოლოდ ვამაყობთ ასეთი „პატივით“, — განცხადა გუნდის კაპიტანმა.

მეამბოხეთა ჯანყი თითქმის განწირული იყო, მაგრამ გერმანია-იტალიის ფაშიზმის უსირცხვილო ინტერვენციამ ფრთხები შეასხა ესპანეთის ხალხის მოლალატე გენერლებს. ახალი ძალით გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ცეცხლითა და მახვილით მიიწევდნენ მეამბოხეთა ჯარები მადრიდისაკენ. ფაშისტური სისასტრიკით უსწორდებოდნენ ხალხს, ჰაერიდან გამუდმებული მხეცური თავდასხმებით დაანგრიეს ბასკეთის ქალაქი დურანგო. ენით გამოუთქმელი ტრაგედია დაატეხეს თავს ბასკეთის ქალაქს, ბასკური კულტურის საგანძურს — გერნიკას. რომელიც ჰიტლერელთა ავიაციამ მეამბოხეებთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით ნანგრევებად აქცია და მიწასთან გაასწორა. სწორედ ეს ტრაგედია ასახა პაბლო პიკასომ თავის ერთ-ერთ თვალსაჩინო ტილოზე „გერნიკა“¹.

ქალაქის განალგურების ბარბაროსული აქტი ჰიტლერელთა ავიაციამ 26 აპრილს განახორციელა. ნიურნბერგის პროცესზე ჰიტლერელი ობერბანდიტი გერინგი ფსევდოსინანულნარევი ცინიზმით იტყვის: „გერნიკა? მახსოვს, სინამდვილეში იყო რაღაც მსგავსი ექსპერიმენტი ლიუფტვაფესათვის². სამწურა-

¹ პიკასო სურათზე მუშაობას თითქმის მაშინვე, I მაისს შეუდგა. 1937 წელს „გერნიკა“ რამდენიმე თვით გაიგზავნა ნიუ-იორკში, სადაც სახსრები უნდა შეეგროვებინათ ესპანელ ემიგრანტების დასახმარებლად. მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ, 1981 წლის სექტემბერში დაუბრუნდა „გერნიკა“ ესპანეთს.

² ფაშისტური გერმანიის სამხედრო საპარო ძალები.

რომ, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა ჩვენ არ შეგვეძლო. იმ მო-
მენტში მსგავს ცდებს სხვა აღგილზე ვერ ჩავატარებდით“¹.

გერნიკას განადგურებამდე ცხრა თვით აღრე, მეამბოხეთა
ჯარებმა ესპანეთის ჩრდილოეთი, მათ შორის ბასკეთიც ჯერ
რესპუბლიკის დანარჩენ ნაწილისაგან, ხოლო შემდეგ საფრან-
გეთისაგანაც მოწყვიტეს და ფაქტიურად ალყაში მოაქციეს.

უურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“-ი 1937 წლის ერთ-
ერთ ნომერში წერდა: „ერთ მშვენიერ დღეს, ფაშისტთა საჰა-
ერო ბლოკადა გაარღვია თვითმფრინავმა, რომელშიც 20 ბასკი
იჯდა, ესპანეთის 20 გმირი დამცველი. თვითმფრინავის მგზავ-
რები მხოლოდ სანგართა მებრძოლები როდი იყვნენ. მთელი
ევროპა კარგად იცნობდა მათ სახელებს ფაშისტური ამბოხე-
ბის დაწყებამდე ბევრად აღრე. უკვე მაშინ მათ იცნობდნენ
როგორც საერთაშორისო საფეხბურთო შეხვედრათა მებრძო-
ლებს — გამოცდილ, გამოწრთობილ და დახელოვნებულ მებრ-
ძოლებს... ბასკეთის მთავრობამ² სანგრებიდან გამოიძახა ფეხ-
ბურთელები და დაავალა მათ შაშხანები მშვიდობიანი სპორ-
ტული აღჭურვილობით შეეცვალათ“³.

¹ გაზ. „პრავდა“. 13.09.81 წ.

² ბასკეთის 1936 წლის 1 ოქტომბერს ავტონომიის სტატუსი მიენიჭა,
რაც დიქტატორმა ფრანკომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე
გააუქმა. ავტონომიის აღდგენას ბასკებმა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ
მიაღწიეს.


³ ლენინგრადის „ზენიტის“ და ჩერნი ჭვეუნის ნაკრების ყოფ. მექანი-
ლ. ივანოვი, პირდაპირ რბილად რომ ვთქვათ, მიუტევებელ უყურადღე-
ბობას იჩენს, როცა 1976 წელს გამოცემულ წიგნში „ზენიტის კარში“
აღნიშნავს, ბასკი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ, ვიდრე
მათ ჭვეუანაში ტრაგიკული ამბები დატრიალდებოდა“, და კიდევ უარესი:
„საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ბასკებმა გაიგეს ესპანეთში ფაშისტური
ამბოხების შესახებონ“.

ამასთან დაკავშირებით გუნდის კაპიტანი ლ. რეგებიროვანი საბჭოთა პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში მოგვითხოვთ ზოგიერთ დეტალზე: „ბასკეთის მთავრობის მეთაურმა აგირემ, რომელიც ამ ტურნეს დიდ პოლიტიკურ-სააგიტაციო და სპორტულ მნიშვნელობას ანიჭებდა, თვით დააკომპლექტა გუნდი. ადრე თვითონ გამოდიოდა „ატლეტიკ კლუბ ბილბაოს“ შემადგენლობაში და ესპანეთის ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა. ჯერ კიდევ ბილბაოს აეროპორტშივე გაგვაფრთხილეს, რომ ჰაერში ფაშისტთა თვითმფრინავები პატრულირებენ. მაგრამ ფრანგი მფრინავი გალი გვარწმუნებდა, საფრანგეთის ტერიტორიაზე უვნებლად ჩაგიყვანოთ. მან სიტყვა პირნათლად შეასრულა“.

ფეხბურთელთა წინაშე დასმული ამოცანების შესახებ უკვე ითქვა. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ოფიციალური მონაცემებით ამ დროისათვის სხვადასხვა ქვეყანაში 31 ათასზე მეტი ბასკი თუ სხვა ესპანელი ბავშვი იყო გახიზნული.

ბისკაის ყურესა და პირენეის მთაგრეხილს შორის, ჩრდილოეთ ესპანეთის ამ მთავრიან აღგილებში, ვიწრო ზოლადა დასახლებული მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიისა და კულტურის ხალხი თავის თავს ევსკალდუნაკს ანუ „ბასკურად მოლაპარაკე ხალხს“ რომ უწოდეს.

ბასკები ესპანეთში ოთხ პროვინციაში ცხოვრობენ — ბისკაიაში (პროვინციის და საერთოდ ბასკეთის მთავარი ქალაქი ბილბაო), გიბუსკოაში (მთავარი ქალაქი სან-სებასტიანი), ალაგაში (მთავარი ქალაქი ვიქტორია), რომლებიც ქმნიან ევსკადს ანუ ბასკეთს, ბასკთა ქვეყანას, აგრეთვე მის მიმღებარე ნავარაში (მთავარი ქალაქი პამპლონა). რიცხობრივად ამ მცირე ხალხმა (ბასკთა ქვეყნისა და ნავარას 1,1 მილიონი მცხოვრე-



ბიდან 800 ათასი ბასები)¹ ღრმა ისტორიული წარსულიდან საუკუნეთა ქარტეხილებს გამოატარა და დღემდე მოიტანა ვისი ენა, თავისთავადი კულტურა, ეთნოგრაფია და საერთოდ ყველა ნიშანი ეროვნული თვითმყოფადობისა.

აი, ამ ხალხის შვილები, ბასეეთის ფეხბურთელთა ნაკრები აგრძელებდა ტურნეს საბჭოთა ქვეყანაში.

გუნდის შემადგენლობაში მაღრიდის კლუბებიდან გამოდიოდნენ გუნდის კაპიტანი ლუის რეგეირო და მისი ძმა პედრო, ისიდრო ლანგარა, ენრიკ ლარინაგა, ემილიო ალონსო, პაბლო ბარხოსი და რაფაელ ეგუსტისა, „სევილიიდან“ — სერაფინ აედო, „ბარსელონადან“ — პედრო არესუ, ბილბაოს „ატლეტიკიდან“ — გრეგორიო ბლასკო, ლეონარდო სილაურენი, რობერტო ეჩებარია, ხოსე მუგუერსა, ვიცე-კაპიტანი გილიერმო გოროსტიცა, ხოსე ირარაგორი და აიხელმო სუბიეტია.

გუნდს ახლდნენ მწვრთნელი პედრო ვალიანო, ანტვერპენის, პარიზის და ამსტერდამის ოლიმპიადების მონაწილე, იგი ცამეტჯერ კაპიტონბდა ესპანეთის ნაკრებს, სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი მანუელ დე ლა სოტა და კიდევ ორი წევრი — გაზეთ „ტაგდეს“ რედაქტორი, სპორტული ჟურნალისტი მ. ალეგრია და მასაუისტი ჰ. ბირიტინაგო.

ესპანეთი მაშინაც ფეხბურთის ლათინურ-ამერიკული სკოლის მიმდევრად ითვლებოდა ევროპაში. იგი ანგარიშგასაწევ

¹ ესპანეთის გარეთ ბასები აგრეთვე ცხოვრობენ: საფრანგეთში (ქვემო პირენეის დეპარტამენტი, მთავარი ქალაქი ბაიონა) — 130 ათასი კაცი, არგენტინაში — 50 ათასი კაცი, ბრაზილიაში — 30 ათასი კაცი,, აშშ და მექსიკაში — 10-10 ათასი კაცი.

შ. ძიძიგური, „ბასები და ქართველები“. თბილისი, 1978, გვ.103.



ძალას წარმოადგენდა, მისი ყოველი გამოსვლა შეუნელებელი ინტერესს იწვევდა და ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი: ფეხბურთის სამშობლოს ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპაში პირველი მარცხი (3:4) სწორედ ესპანელებთან შეხვედრაში იწვია, 1929 წელს.

მსოფლიოს მეორე ჩემპიონატამდე (1934 წ.) ესპანელებს 30-იან წლებში დამარცხებული ჰყავდა ავსტრია (2 : 1, 1 : 0), საფრანგეთი (4 : 1, 8 : 1,) ირლანდია (5 : 0), ჩეხოსლოვაკია (1 : 0), უნგრეთი (4 : 2), შვეცია (3 : 0, 1 : 0), პორტუგალია (5 : 0, 3 : 0), იტალია (3 : 2). საერთოდ, ნაკრებთა შეხვედრებში ბალანსი აშკარად ესპანელთა სასარგებლოდ იყო: 37 მოგება, 10 ფრე და 11 წაგება, ბურთების შეფარდებით 134 : 60.

1935 წელს ესპანეთის ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა და ორივეში გაიმარჯვა: გერმანიასთან (2 : 1) და საფრანგეთან (2 : 0). ამ ბოლო მატჩში ბასკეთის ჩვენთვის უკვე ნაცნობი გუნდიდან ესპანეთის ნაკრებში ჩატარდებურთელი გამოდიოდა და პირველი გოლი ლ. რეგეირომ გაიტანა.

1936 წელს ესპანეთის ნაკრები შვეიცარიისას შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 2 : 0.

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ბასკი ფეხბურთელები მუდამ მრავლად იყვნენ წარმოდგენილი¹.

¹ აღრინდელ პერიოდზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად მკითხველს მოვაგონებ, რომ მსოფლიოს ამ ბოლო XII ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებში შედიოდნენ ბასკები მექარე არკონადა, ნახევარდაცვისა და თავდასხმის მოთამაშები ალონსო, ზამორა, სატრუსტეგი, უფარტე და ურალდე. სხვათაშორის, ამავე ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ძირითად მექარედ ითვლებოდა კასტენადა, ეროვნებით ბასკი.

მსოფლიოს პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი საქართველოს ურუგვაის, რომელიც სწორედ ამ დროს, 1930 წელს თავისი სახელმწიფო ორგზის (1924-28წწ) ოლიმპიურ ჩემპიონს აღნიშნავდა. ესპანეთს, ისევე როგორც მთელ ჩიგ ფეხბურთის აღიარებულ ქვეყნებს (უნგრეთი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, გერმანია) მასში მონაწილეობა არ მიუღია. მიზეზად ასახელებდნენ სიშორეს და სახსრების უქონლობას—ფეხბურთელებისათვის აენაზღაურებინათ ორთვიანი შვებულება.

მეორე ჩემპიონატი 1934 წელს უნდა ჩატარებულიყო. სად, რომელ ქვეყანაში? დავას ბოლო არ უჩანდა. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ფიფა) რვა კონფერენცია გამართა და ბოლოს, როგორც იქნა, განისაზღვრა შეჯიბრების ადგილი — იტალია. ამჯერად ჩემპიონატში მონაწილეობისაგან თავი შეიკავეს მსოფლიოს პირველმა ჩემპიონებმა — „გაიბუტა“ ურუგვაი და ევროპელ ფეხბურთელებს სამაგიერო მიუზღლო პირველ ჩემპიონატში „ბოიკოტის“ გამო.

ესპანეთის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ბასკეთის ჩვენთვის უკვე ცნობილი გუნდის წევრები ლუის რეგეირო, ლანგარა, გორლისტიკა, სილაურენი, მუგუერსა, ირარაგორი შესაჩჩევ თამაშებში ორჯერ დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები (9 : 0 და 2 : 1), ხოლო მერვედფინალში — ბრაზილია ანგარიშით 3 : 1. (ორი გოლი გაიტანა ლანგარამ, ერთიც ირარაგორიმ) და მეოთხედფინალში გა-

ერთი ცნობაც: ლუის მიგელ არკონადამ ნაკრებში უკვე ზედიზედ 50 მატჩი ჩატარა, რითაც გააუმჯობესა ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში უცვლელად გამოსვლის რეკორდი (49 მატჩი), რომელიც ბილბაოს „ატლეტიკის“ მეექანეს ა. ირიბარს ეკუთვნოდა.

ვიდა. აქ უკვე მძიმე განსაცდელი ელოდათ პირენეელებული თელებს. ისინი ხვდებოდნენ ჩემპიონატის მასპინძლებს — იტალიელებს, რომლებიც მიზნის მისაღწევად საშუალებებს როდი ერიდებოდნენ

შეხვედრა პირველიდან ბოლო წუთამდე უხეშობის დემონსტრაციას წარმოადგენდა. განსაკუთრებით „ისახელა“ თავი დამცველმა მონტიმ, იტალიური წარმოშობის არგენტინელმა (მეტსახელად „პამპასების კამეჩი“), რომელმაც მწყობრიდან გამოიყვანა... ოთხი ესპანელი, მათ შორის გუნდის კაპიტანი ლეგენდარული მეკარე რ. ზამორა². ეს მატჩი, რომელსაც უურნალისტებმა „საფეხბურთო კრივი“ უწოდეს ფრედ (1 : 1) დამთავრდა. ესპანელთაგან გოლი გაიტანა ლუის რეგეირომ. მან კარგად გამოიყენა ლანგარას მიერ ჩინებულად მოწოდებული საჯარიმო.

განმეორებით მატჩიც იმავე „სცენარით“ წარიმართა. ტრავმების გამო მასში მონაწილეობა ვერ მიიღეს ზამორამ, ლანგარამ, გოროსტიცამ, ირარაგორიმ, რამდენიმე ფეხბურთელი იტალიელებმაც შეცვალეს, მაგრამ რაც მთავარია შემაღენლობაში კვლავ დატოვეს მეტოქეთა „რისხვა“ მონტი, რო-

¹ პამპასები, პამპა — არგენტინის დაბლობი, სადაც განსაკუთრებული ჯიშის კამეჩებია მოშენებული.

² რიკარდო ზამორამ 46 მატჩი ჩაატარა ესპანეთის ნაკრები გუნდის შემაღენლობაში (1920—1936 წწ.), ამასთან, 20 მატჩში ვოლი არ გაუშვია. „კარის უმწიკელო მცველი მხოლოდ ორია: წმინდა პეტრე ცაში და რიკარდო ზამორა დედამიწაზე“, — წერდა იმ წლებში ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მიმომხილველი გაბრიელ ანო. რ. ზამორა გარდაიცვალა 1978 წელს, 77 წლის ასაკში. მისი სსონის ნიშნად ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის უკლებლივ ცველა მატჩი წუთიერი დუმილით იწყებოდა.

მელმაც დასაწყისშივე მწყობრიდან გამოიყვანა ესპანელთა კულტურული გარემარბი ბოში.

იტალიელებმა ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს საწადელს — როგორც იქნა ესპანელთა კარში გაიტანეს ერთადერთი გოლი. მისი ავტორი იყო ჯუზეპე მეაცა¹.

იტალია ჩემპიონი გახდა (გაიმარჯვა ფინალში, ჩეხოსლოვაკიასთან დამატებით დროში, ანგარიშით 2 : 1), მესამე იყო ერმანია.

ჩვენთვის ცნობილია პროფესიონალ ფეხბურთელთა მსოფლიო სიმბოლური ნაკრების ორი ვარიანტი: პირველი შეადგინეს ჩემპიონატზე აკრედიტებულმა უურნალისტებმა, მეორე — ჩეხოსლოვაკიის სპორტულმა გაზეთმა „ჩესკონსლოვენსკი სპორტ“.

იდეალური ნაკრების პირველ ვარიანტში ესპანეთის ნაკრებიდან ლეგენდარულ რ. ზამორასთან და მცველ კინჩისესთან ერთად მოხვდნენ ბასკები ლ. სილაურენი და ლ. რეგეირო, ხოლო მეორე ვარიანტში იგივე კინჩისესთან ერთად — ლ. რეგეირო და ი. ლანგარა.

დავუბრუნდეთ ბასკეთის ნაკრები გუნდის ტურნეს.

ჩვენთან ჩამოსელამდე ბასკები ესტუმრნენ საფრანგეთს, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს.

საფრანგეთში, პირველივე შეხვედრაში (სხვათა შორის ეს

¹ ჭ. მეაცა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იტალიის ნაკრები გუნდია ყველაზე თვალსაჩინო წევრი იყო, ქვეყნის ჩემპიონატებში მას 355 გოლი ჰქონდა გატანილი. გარდაიცვალა 1982 წელს, 68 წლის ასაკში. „მილანისა“ და „ინტერის“ კლუბების ხელმძღვანელობამ (იგი ამ გუნდებში გამოდიოდა, სხვადასხვა დროს) წინადადება შეიტანა მილანის „სან-სირის“ უდიდესი სტადიონისათვის დაერქმიათ მისი სახელი.



მატჩი ბასკებმა ჩაფრენის დღესვე ჩაატარეს (სასტიკებრივი ამარცხეს (3 : 0) სახელგანთქმული „რესინგი“, რომელიც 1936 წელს საფრანგეთის ჩემპიონიც იყო და თასის მფლობელიც, ხოლო 1937 წელს — მესამე პრიზიორი. სამივე გოლი ლანგარამ გაიტანა. შეხვედრის შემდეგ ფრანგული გაზეთი „ფეხბურთი“ წერდა: „ბასკების ნაკრები..... ინტერნაციონალური (იხმარებოდა საერთაშორისო კლასის სინონიმად, — გ. მ.) მოთამაშეების ნამდვილი თანავარსკვლავედია“. თან დასძენდა. ბასკებმა დაამტკიცეს, რომ მათ თავისი ადრინდელი კლასი არ დაუკარგავთ. „ბასკები არ შეცვლილან. მათი გუშინდელი თამაში იყო სიმარტის, მოძრავუნარიანობისა და სიმტკიცის შესანიშნავი დემონსტრაცია“, — აღტაცებას ვერ ფარავდა გაზეთი „ოტო“. ავსტრიული გაზეთი „სპორტტაგბლატი“ კი ასე ახასიათებდა ბასკეთის ნაკრები გუნდის პირველ გამოსვლას: „შეუძლებელია ხაზგასმით არ ითქვას ბასკი ფეხბურთელების განსაკუთრებულ სისწრაფეზე, რის ფონზედაც „რესინგის“ მოთამაშეები მოუქნელნი და ნაკლებად მოძრავნი ჩანდნენ“. პარიზის სპორტულმა პრესამ საგანგებოდ აღნიშნა ლანგარას, გოროსტიცას, რეგეიროს, სილაურენის, მუგუერსას და ირარაგორის ბრწყინვალე თამაში.

ბასკეთის ნაკრებმა მეორე შეხვედრაშიც დაამარცხა „რესინგი“ (3 : 2), დიდი ანგარიშით (5 : 2) მოუგო საფრანგეთის 1937 წლის ჩემპიონს „ოლიმპიკ მარსელს“, ხოლო პრალიდან უკან დაბრუნებისას ფრედ (3 : 3) ითამაშა საფრანგეთის თასის ფინალისტთან, ტულუზის ძლიერ გუნდთან.

კარგად მიიღეს ბასკი სპორტსმენები ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ მწვანე მინდორზე ბასკებს აშკარად არ გაუმართლათ: ორი



შეხვედრა გამართეს პრალის ნაკრებთან და ორივეში დამზადული დროის 2 : 3, 3 : 6.

პრალის ნაკრები დაკომპლექტებული იყო წამყვანი გუნდების „სპარტასა“ და „სლავისა“ ბაზაზე, ხოლო ეს კლუბები: როგორც ცნობილია, ევროპული საკლუბო ფეხბურთის გრანდებში ითვლებოდნენ. თუნდაც ასეთი დეტალი: მიტროპის: თასი, რომელიც ცენტრალური ევროპის ქვეყნების კლუბთა მონაწილეობით იმართება, გათამაშების შემოღების წელსვე (1927 წ.) პრალის „სპარტამ“ მოიგო. ასევე გაიმარჯვა 1935 წელსაც.

ყურადსალებია ის გარემოებაც, რომ ჩეხოსლოვაკის ნაკრებმა იმ წელს თავისუფლად დაამარცხა უნგრეთის (5 : 3), შვეიცარიის (5 : 2) ნაკრები გუნდები და, ცხადია, საშიშ ძალას წარმოადგენდა.

თვით პრალის ნაკრებმა ორი წლის წინ, 1935 წელს, სამი შეხვედრა ჩატარა საბჭოთა კავშირში. ლენინგრადისა და მოსკოვის ნაკრებ გუნდებთან ფრედ (2 : 2 და 3 : 3) ითამაშა, ხოლო უკრაინის ნაკრებთან გაიმარჯვა (1 : 0).

მაგრამ მხოლოდ ჩეხოსლოვაკიური ფეხბურთის, თუნდაც თვით პრალის ნაკრების თამაშის მაღალმა კლასმა როდი განაპირობა ბასკების მარცხი. უნდა ითქვას, რომ ორივე შეხვედრაში სპორტულმა ფორტუნამაც ზურგი შეაქცია ბასკეთის ნაკრებს. ჩეხოსლოვაკიის პრესამ, მისცა რა შესანიშნავი შეფასება ბასკების თამაშს, აღიარა, რომ ბასკებმა პირველი შეხვედრა შემთხვევით წააგესო. უურნალმა „სტარტმა“ ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ მატჩს: „ესპანელებმა 90 წუთის მანძილზე ნამდვილი ფეხბურთი აჩვენეს. მოედანზე იყო ფეხბურთის პროფესორების გუნდი“.



რაც შეეხება მეორე შეხვედრას, მოვუსმინოთ თეტრი გუნდის კაპიტანს ლ. რეგეიროს:

— ჩვენი დამარცხება განაპირობა მწყობრიდან პედრო არესუს გამოსვლამ, რომელიც დაზიანდა თამაშის დაწყების-თანავე. მთელი მატჩი ჩავატარეთ 10 კაცის შემადგენლობით.

პრალაში ყოფნისას ბასკეთის გუნდი რამდენიმე მატჩის ჩასატარებლად მიიწვია პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ.

9 ივნისს ბასკები კატოვიცეში შეხვდნენ სილეზიის ნაკრებს და დამარცხეს ანგარიშით 4 : 3.


შემდეგი გამოსვლა დანიშნული იყო 13 ივნისისათვის, ბასკეთის გუნდს ვარშავის ნაკრებთან უნდა ეთამაშა, მაგრამ ხელისუფლებმა მატჩი აკრძალეს და პოლონეთში ბასკების გამოსვლა ჩაიშალა.

ბასკი ფეხბურთელების ტურნე ჩაიშალა პოლანდიაშიც.

„ბასკებს ყველგან კარგად როდი ხვდებოდნენ, — წერდა ურნალი „ფიზკულტურა ი სპორტ“, — ზოგან კაპიტალის-ტურმა ხელისუფლებმა შიშით შენიშნეს, რომ ბასკების გამოსვლა რესპუბლიკური ესპანეთის სასარგებლო, ხოლო ფაშისტი ინტერვენტების საწინააღმდეგო პროპაგანდას ემსახურებოდა. პოლანდიაში მატჩები აკრძალეს, პოლონეთში ბასკებს გასტროლები ფაშისტური დირექტივის გავლენით შეაწყვეტინეს“.


პოლანდიისა და პოლონეთის ხელისუფალთა ლაჩრულმა გადაწყვეტილებებმა, ბუნებრივია, დააჩქარეს ბასკი ფეხბურთელების ჩამოსვლა საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მათ უდიდესი ინტერესით, მოუთმენლად მოელოდნენ და სადაც ინტერნაციონალური გრძნობით გამთბარი ძმური შეხვედრები ელოდათ.

— სალაში ამხანაგებო! სალიუდ კომარადოს! ვივა, ისპანია! გმადლობთ მეგობრებო! — გაისმოდა ყველგან, დაწყებული



მოსკოვის ათასობით ფიზკულტურელმა გულთბილი
შეხვედრა მოუწყო სტუმრებს.

საზღვრისპირა სადგურ ნეგორელოედან, სადაც ბასქმა ფეხ-
ბურთელებმა პირველად დაადგეს ფეხი საბჭოთა მიწას,
დამთავრებული ნებისმიერი საბჭოთა ქალაქის ვაგზლე-
ბით, სტადიონებით, პროსპექტებით, თეატრებისა და ფილარ-
მონიის ხალხმრავალი დარბაზებით, პიონერთა ბანაკებით, ქარ-
ხებით, სადაც კი გამოჩნდებოდნენ ისინი.



გმირული ესპანეთის წარმომადგენლების — ბასკეთის ფეხ-
ბურთელთა ნაკრები გუნდის ტურნე საბჭოეთის დიად ქვეყა-
ნაში დაიწყო...

სავიზიტო ბარათი

ესპანურ ფეხბურთში ბასკი ფეხბურთელების როლისა და
აღილის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

მოდით ახლა უფრო ახლოს გავეცნოთ თითოეულ მათგანს:
ბლასკო გრეგორიო — მეკარე, 28 წლის. შედის
ევროპის საუკეთესო მეკარეთა ათეულში, ხოლო ესპანეთში—
პირველ სამეულში, ევროპის სპორტული პრესა წერდა:
„ბრწყინვალე მეკარე კატისებური ნახტომით, კარი საიმედო
ბოქლომზეა“. იმასაც შენიშნავდა, რომ ევროპის მრავალ მე-
კარეთაგან განსხვავებით თამაშობს საფეხბურთო ხელთათმა-
ნებში.

ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 5-ჯერ, პროფე-
სიით შოთერი.

არესუ პედრო, მარჯვენა მცველი, 26 წლის. ესპანე-
თის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 2-ჯერ, პროფესიით დაწყე-
ბითი სკოლის მასწავლებელი.

აედო სერაფინ, მარცხენა მცველი, 27 წლის, თამა-
შობდა სევილიის ნაკრებში. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში
ითამაშა 4-ჯერ, პროფესიით მკალავი.

სილაურენი ლეონარდო, მარჯვენა ნახევარ-
მცველი, 24 წლის, ესპანეთში უწოდებდნენ „ფოლადისებურ

დაცვას“. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 15-ჯერ პროფესიონალური მექანიკოსი.

მუგურისა ხოსე, ცენტრალური ნახევარმცველი. 25 წლის, ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 9-ჯერ. ქარხნის მუშა.

ეჩებარია რობერტო, მარცხენა ნახევარმცველი, 29 წლის. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 7-ჯერ. ქარხნის მუშა.

გოროსტიცა გილიერმო, მარჯვენა გარემარბი. 28 წლის. გუნდის ვიცე-კაპიტანი, სწრაფია და ენერგიული. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 18-ჯერ. პროფესიონალმაცევტი.

რეგეირო ლუის, მარჯვენა ინსაიდი, 29 წლის, გუნდის კაპიტანი და მისი სული და გული. თავდასხმის ლიდერი, საფეხბურთო ტექნიკის შეუდარებელი ოსტატი, სწრაფი. ენერგიული, ტემპერამენტიანი, აქვს არაჩვეულებრივი ინტუიცია. 18 წლის ასაკში მიიღო ნათლობა საერთაშორისო შეხვედრებში. ეძახიან ფეხბურთის დიდოსტატს და ხუმრობენ. რომ დაიბადა ბურთთან ერთად. დიდი ხანია გამოდის მაღრიდის ნაკრებში, ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 28-ჯერ. საბაჟოს მოსამსახურე.

ლანგარა ისიდერო, ცენტრფორვარდი, 25 წლის, აქვს ყუმბარისებური დარტყმა. გამუდმებით მიიწევს წინ და მისი შეჩერება ხშირად შეუძლებელი ხდება, რის გამოც სამშობლოში „ტანკი“ შეარქვეს. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 12-ჯერ. პროფესიონალური მექანიკოსი.

ლარინაგა ენრიკო, მარცხენა ინსაიდი, 27 წლის,



ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 2-ჯერ. პროფესიონალური შოთერი.

ა ლ ო ნ ს ო ე მ ი ლ ი ო, მარცხენა გარემარბი, 25 წლის, მაღრიდის ნაკრების წევრი, ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 2-ჯერ, პროფესიონალური შოთერი.

სათადარიგო მოთამაშები: მეკარე რაფაელ ეგუსტი ისა (ფერმერი), დამცველი აიხელმო სუბიეტი (სტუდენტი), ნახევარმცველები: პედრო რეგეირო (ლუისის ძმა. საბაჟოს მოწაფე) და პაბლო ბარხოსი (ზეინკალი). თავდამსხმელი ხოსე ირარაგორი (სტუდენტი) — შესანიშნავი მარჯვენა ინსაიდი, მაგრამ გუნდში ლ. რეგეირო გამოდის (ისიც ხომ მარჯვენა ინსაიდია) და ამიტომ ხოსე თამაშობს მარცხენა ფრთაზე. ბილბაოს ნაკრების წევრი, ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ითამაშა 8-ჯერ.

მ ო ს პ ო ვ ჭ ი

და აი, ბასკი ფეხბურთელები საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში არიან. სასტუმროდან ეწვივნენ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქციას, სადაც მათ მეტად გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. სტუმრებმა მაღლობა გადაიხადეს შეხვედრისათვის და იმ უანგარო დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა ქვეყნის მშრომელები რევოლუციური ესპანეთის ქალებსა და ბავშვებს უწევენ.

იყვნენ „ლოკომოტივის“ სტადიონზე და აღნიშნეს, რომ სამშობლოში წინა წლებისაგან განსხვავებით ამ ბოლოს ისინიც ბალახიან მინდვრებზე თამაშობენ.

იმავე სალამოს ბასკი ფეხბურთელები დიდ ოქატრში დაცესა-უსლი უნივერსიტეტი ბალეტს „გედების ტბა“.

მეორე დღეს ბასკები ეწვივნენ დედაქალაქის საწარმოებს, იყვნენ მოსკოვ-ვოლგის არხზე, ალტაცებას ვერ ფარავდნენ და გაოცებულნი დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ ეს მდინარე კი არა, ხელოვნური არხია.

19 ივნისს ბასკმა ფეხბურთელებმა ნახეს კიევის და თბილისის ღინამოელთა მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე.

ეს შეხვედრა მოსკოვში ჩატარდა და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2 : 1. გამარჯვების გოლი გაიტანა მ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ოსტატურად გამოიყენა ბ. პაიჭაძის გადაცემა.

ჩვენმა სპორტულმა პრესამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სტილი, თამაშის ორი სხვადასხვა სისტემა: თბილისელები თამაშობდნენ გრძელ, მაღალ მიწოდებებითა და გარღვევებით, კიეველები ცენტრალურ სამეულს შორის მოკლე, ზუსტი გადაცემებით.

— გუნდები ძალზე სწრაფ ტემპში თამაშობდნენ, დაულელად მთელი 90 წუთის მანძილზე, — თქვა ლუის რეგეირომ.

პირველი გატჩი

... 15 წლის წინათ, 1922 წლის 20. სექტემბერს აქ, მოსკოვში, საბჭოთა გუნდი პირველად შეხვდა საზღვარგარეთის ფეხბურთელებს: „ზამოსკვორეცის სპორტკლუბის“ გუნდმა ანგარიშით 7 : 1 დაამარცხა „ფინეთის მუშათა კავშირის“ („ტულ“) ნაკრები.


მარტინ გორგაძე
საქართველოს სახალხო კულტურული მუზეუმი

და დღეს, 1937 წლის 24 ივნისს მოსკოვი ღებულობს ბასკ ფეხბურთელებს.

ბასკეთის ნაკრებს პირველად შეხვდა სსრ კავშირის თასის გათამაშების შარშანდელი მფლობელი მოსკოვის „ლოკომოტივი“. „ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მოწვეულ-მა თათბირმა გადაწყვიტა ბასკებს ეთამაშოს არა ნაკრები, არა-მედ საკლუბო გუნდები, — წერს ან. სტაროსტინი, — პირველი მატჩის უფლება მიიღო „ლოკომოტივმა“, თასის მფლობელმა“.

რამდენიმე სიტყვა „ლოკომოტივის“ შესახებ:

ჩვენი ქვეყნის პირველ ჩემპიონატში (გაზაფხული, 1936 წ) რკინიგზელთა გუნდს თავი არაფრით გამოუჩენია: ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ორში გაიმარჯვა. თასი კი მოიპოვა და მისი პირველი მფლობელი გახდა. (ფინალში მოუგო თბილი-სის „დინამოს“ 2 : 0).



ბასკეთის ნაკრები პირველი მატჩის წინ.

რაც შეეხება საშემოდგომო პირველობას¹, „ლოკომოტივის“ წარმატება აშკარა იყო: მე-4 საპატიო ადგილზე გამო-


¹ 1936 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატი ორჯერ მოეწყო: გაზაფხულ-სა და შემოდგომაზე.



ვიდა და ამასთან დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ (II ალგოლი 2 : 1), კიევის დინამო (4 : 2), ლენინგრადის „დინამო“ (4 : 0) და „კრასნაია ზარია“ (5 : 3).

— შეხვედრა საინტერესო იქნება, — თამაშის წინ განაცხა და თბილისელთათვის კარგად ცნობილმა ფეხბურთის ჩეხმა სპეციალისტმა უიულ ლიმბეკმა, რომელიც იმხანად კვლავ დაბრუნდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელად.

24 ივნისი, „დინამო“ სტადიონი. მაყურებელთა შეშვება სტადიონზე სამი საათით ადრე დაიწყო. გათვალისწინებულია შეხვედრის რაღიო-რეპორტაჟი. მზადყოფნაში არიან „სოიუზ-კინოქრონიკის“ ოპერატორებიც.



ბასკი ფეხბურთელები ესალმებიან მაყურებელს.

ბასკეთის ნაკრების ფეხბურთელებმა თავიანთი კაპიტ-ნის ლ. რეგეიროს წინამძღოლობით, რამდენადმე „გადა-

უხვიეს“ დაღგენილ რიტუალს: მათ მწვანე მინდორს ცრებულივ
შემოურბინეს და მაყურებლებით სავსე ტრიბუნებს მიესალმა-
ნენ. პასუხად გაისმა 90 ათასი კაცის ოვაციები.

მსაჯის ვ. სტრეპიხევის სასტეგნის ხმაზე გუნდები მოედ-
ნის ცენტრში დაეწყვნენ, გუნდის კაპიტნები ი. ანდრეევი და
ლ. რეგეირო ტრადიციულად ურთიერთს მიესალმნენ. მაყუ-
რებლებს სიტყვით მიმართავს ლუის რეგეირო, რომელიც გუ-
ლითად მაღლობას იხდის ყურადღებისათვის არა მარტო ფეხ-
ბურთელების მიმართ, არამედ გერნიკელი, დურანგოელი და
ბილბაოელი იმ ევაკუირებული 1500 ბავშვის მიმართაც, მატ-
ჩის დღეს ბილბაოდან ლენინგრადში რომ ჩამოვიდა. „თქვენ
მიიღეთ და შეიფარეთ ბავშვები, რომლებმაც ძალზე აღრე ნა-
ხეს ომის საშინელება. ამით კიდევ ერთხელ ნათელჲყავით, რომ
დედამიწაზე არსებობს სიმამაცის, მშვიდობისა და მეგობრო-
ბის ქვეყანა“.

სტადიონს თავს დასტრიალებენ თვითმფრინავები. ერთ
მათგანს მოწყდება პარაშუტი ყვავილების დიდი თაიგულით
და მწვანეზე ეშვება.

მატჩი გახსნილად ცხადდება.

ბასკები: გ. ბლასკო, პ. არესუ, ს. აედო, ლ. სილაურენი,
ხ. მუგუერსა, რ. ეჩებარია, გ. გოროსტიცა, ლ. რეგეირო,
ი. ლანგარა, ე. ლარინაგა, ე. ალონსო.

„ლოკომოტივი“: ვ. გრანატინი, ი. ანდრეევი, ი. გვოზდკო-
ვი, ნ. ილინი, მ. უუკოვი, ვ. სტრელკოვი, ვ. სერდიუკოვი,
ა. სოკოლოვი, პ. ანდრიასოვი, ვ. ლავროვი, პ. ტერენკოვი.

რკინიგზელთა ცენტრფორვარდმა ჰაიკ ანდრიასოვმა ბურ-
თი თამაშში შეიყვანა, მაგრამ ბასკებმა მაშინვე ხელთ იგდეს
ინიციატივა. რამდენიმე ზუსტი გადაცემა და უკვე რეგეირომ

მიიღო გორისტიცას ფლანგური გარდვევის შემდეგ ცენტრული მოწოდებული ბურთი და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ბასკთა იერიშები გრძელდება, მაგრამ რკინიგზელთა გონის მოსული დაცვა ამჯერად საიმედოდ თამაშობს. უფრო მეტიც, „ლოკომოტივი“ ახერხებს ანგარიშის გათანაბრებას: მე-17 წუთზე ანდრიასოვმა ბურთი გადააწოდა ტერენკოვს, რომელმაც გვერდი აუარა ორ დამცველს და შესანიშნავი დარტყმით აიღო მეტოქის კარი.

ინიციატივას კვლავ რკინიგზელი ფეხბურთელები ფლობენ.



ბასკები — „ლოკომოტივი“. ბლასკო ბურთის ასაღებად
ხშირად გამოდიოდა კარიდან.

6. ვოლფოვის ფოტო



ძლიერად დარტყმული ბურთი კარის ძელს ხვდება თავისი
ოსტატობის ჩვენება უხდება ბლასკოსაც. ბასქები ღალაზე
არიან, მაგრამ სტრელკოვის არაზუსტი გადაცემის შედეგად
ბურთი ჩაიგდო გოროსტიცამ, სწრაფად მიუახლოვდა საჭა-
რიმო მოედანს და ბურთი კარისაკენ გაგზავნა. მეკარე გრანატ-
კინმა დარტყმა მოიგერია, მაგრამ ბურთის აღება ვერ შესძლო
და ლანგარამ მშვიდად გაზარდა ანგარიში.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეორდება პირველი გოლის
„ისტორია“, მაგრამ სხვა ფლანგიდან: მარცხენა გარემარბ



ბასქები — „ლოკომოტივი“. (მარცხნიდან) სტრელკოვი
ანდრეევი, ილინი, ლანგარა, გვოზდკოვი და უჟკოვი.
ნ. კულეშოვის ფოტო


ალონსოს მიერ მოწოდებული ბურთი ზუსტად გაგზავნა კარში
ლანგარამ.

მე-20 წუთია. ისევ ის სტანდარტული კომბინაცია: მარჯვე-

ნა გარემარბი გოროსტიცა ბურთიანად გადის ფლანგზე აწვდის ცენტრში და რეგეიროს დამაგვირგვინებელი დარტყმა. 4 : 1.

პირველი ნახევრის დანარჩენი დროც ბასკების გამუდმებული იერიშებით აღინიშნა და გრანატკინს რამდენიმეჯერ მოუხდა საშიში დარტყმების მოგერიება.

მეორე ტაიმიც ბასკების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ კვლავინდებური შემართება აღარ იგრძნობოდა, აშკარა იყო პირველი ტაიმის ანგარიშის გავლენა.



ბასკები — „ლოკომოტივი“. სილაურენი თავით იგერიებს ბურთს.

და მაინც, 25-ე წუთზე კიდევ ერთხელ გათამაშდა ნაცნობი კომბინაცია: გოროსტიცამ რამდენიმე მოხდენილი ფინტით

უკან ჩამოიტოვა რკინიგზელთა დაცვა და ფლანგიდან ბურთი
კარის წინ ჩაწოდა, აქ კი რეგეირომ მსუბუქად მიიღო იგი და
მიწაზე დაუშვებლად, ლამაზი, ძლიერი დარტყმით ანგარიში
ხუთამდე გაზარდა.

გავიხსენოთ 1958 წელი, როცა შვეციაში ბრაზილიელი
ფეხბურთელები პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.
რა ხშირად გაჰქონდათ ბრაზილიელებს გოლი მსგავსი სტან-
დარტული კომბინაციით: გარინჩას გარღვევა მარჯვენა ფლან-
გზე, ჩაწოდება კარის სიახლოვეს, ვავას დარტყმა და...

როგორც ზემოთ ითქვა, ამ სტანდარტულ კომბინაციას
შვეციის ჩემპიონატამდე ორი ათეული წლის წინათ ბასკეთის
ნაკრები გუნდის წევრები იყენებდნენ.

„ლოკომოტივთან“ მატჩი კი 5 : 1 დამთავრდა.

„პრავდამ“ ასეთი შეფასება მისცა ამ მატჩს: „ლოკომო-
ტივის“ დაწოლას ესპანელმა ფეხბურთელებმა დაუპირისპი-
რეს ბრწყინვალე ტექნიკა, გამოზომილობა, ნატიფი მონახაზი.
შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყოველი მათი დარტყმა მათე-
მატიკურად გაანგარიშებული იყო. გამოიჩინდნენ განსა-
ცვიფრებელი მოქნილობით, დარტყმები — უდიდესი ძალისა,
თავით მათი თამაში ხშირად იწვევდა მაყურებელთა საყოველ-
თაო აღტაცებას. იგრძნობოდა შინაგანი დისკიპლინა და ორ-
განიზებულობა. სწორედ ეს თვისებები აკლდათ რკინიგზელ
ფეხბურთელებს.“

„ბასკების გუნდი ბრწყინვალედ ფლობს ბურთს, — წერდა
უზრუნველი „ფიზკულტურა ი სპორტი“, — ყველა მოთამაშე და-
მაჯერებლად და ზუსტად იგერიებს, ნებისმიერ მდგომარეობა-
ში აჩერებს და გადასცემს ბურთს. აკეთებს ამას დაყოვნების,
დაფიქრების გარეშე. არ იკარგება არც ერთი წამი.



ბასკები არ ცდილობენ ბურთის გაჩერებას, ამჯობინებენ
ერთმანეთს მიაწოდონ მიწაზე დაშვებამდე. დიდებულად თა-
მაშობენ თავით. აქვთ მრავალმხრივი ტექნიკა... განსაცვიფრე-
ბელი სიმსუბუქით და მოხდენილად ახორციელებდნენ ესპანე-
ლები გადაცემებს. ბურთი გადაღის თავიდან თავზე, ფეხიდან
ფეხზე, ფრთიდან ფრთაზე, ატარებდნენ გვერდითი ხაზის გა-
წვრივ (ზუსტად ასე ატარებდა, მახსოვს, ბურთს 40-იანი წლე-
ბის ბოლო პერიოდში ჩვენი საამაყო ბ. პაიჭაძეც), აწვდიდნენ
ცენტრში და ემუქრებოდნენ კარს. ბასკებმა აჩვენეს მთე-
ლი მინდვრის საუკეთესოდ გამოყენების ნიმუში. მათ მიაჩ-
ნდათ, რომ რაც უფრო ფართო ფრონტით უტევ, მით ძნელი
ამოცანის წინაშე აყენებ მეტოქის დაცვას... ბასკების საირი-
შო სისტემას შეუძლია უწოდო კლასიკური. შუა მოედანზე
ისინი ცდილობენ ითამაშონ გარემარბებით, კარში ურტყამს
ცენტრალური სამეული, რადგან მიაჩნიათ, რომ გაცილებით
საშიშია დარტყმები ცენტრალური ზონიდან“.

„ლოკომოტივი“ ცუდ დღეში აღმოჩნდა, — წერდა ცნობი-
ლი ფეხბურთელი ან. სტაროსტინი, — ორი სისტემა: ბასკები-
სა პროგრესული, რომელსაც ეხლა ყველა „სამი დამცველის“
სისტემას უწოდებს, „ლოკომოტივისა“ — დრომოჭმული,
ძველმოდური „ხუთი ხაზზე“.

ამ თამაშს თბილისის „დინამოს“ მთელი შემაღენლობა
ესწრებოდა. წინა დღეს „დინამოს“ ერთობ ძნელი ნახევარფი-
ნალური მატჩი ჰქონდა კიეველ თანაკლუბელებთან.

„გაფაციცებით ვადევნებდით თვალს თამაშის მსვლელო-
ბას, — იხსენებდა დინამოელთა მექარე ა. დოროხოვი, — მე
განსაკუთრებით ვაკვირდებოდი სტუმრების თავდამსხმელებს.
ისინი არასოდეს არ ცდილობდნენ მომენტის შერჩევას დარ-



ტყმისათვის. ურტყამდნენ ყოველი მდგომარეობიდან,<sup>მარჯვე-
ზე</sup> ნა თუ მარცხენა ფეხით. ეს კი ის მთავარი ელემენტია, რომე-
ლიც ყოველთვის განაპირობებს გამარჯვებას ფეხბურთში“.

იმაზები მოსკოველ დინამიკაზე

27 ივნისს „დინამოს“ სტადიონი ისევ აივსო მაყურებლე-
ბით, მატჩისადმი ინტერესი გაიზარდა ბასკების პირველი და
ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ. ამას დაემატა ის გარემოე-
ბაც, რომ ამჯერად მათ წინააღმდეგ გამოდიოდა მოსკოვის
„დინამო“ — საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული ლიდერი, რო-
მელსაც საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილებაც გააჩნ-
და. თვითონ განსაჯეთ: „დინამო“ ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემ-
პიონი გახლდათ, ქულათა მაქსიმუმით და გატანილ-მიღებული
ბურთების ჩინებული შეფარდებით (22 : 5). ამასთან მეორე
ადგილზე გასულ კიევის „დინამოს“ ოთხი ქულით გაასწრო და
თვით ეს მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით (5 : 1) დაა-
მარცხა.

ძლიერი კოლექტივის რეპუტაცია მეორე ჩემპიონატშიც (1936 წლის შემოდგომა) შეინარჩუნა: 16 ქულით თბილისის
„დინამოსთან“ ერთად მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა და
მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ქვეყნის ახალ ჩემპიონს
„სპარტაკს“.

„მოსკოვის „დინამო“ ბასკებთან შეხვედრის წინ თასის გა-
თამაშების ნახევარფინალში იყო გასული და ჩემპიონატშიც
იბრძოდა (გახსოვთ, იმ წელს მოსკოველმა დინამოელებმა
„დუბლს“ მიაღწიეს: თასიც აიღეს და ჩემპიონებიც გახდნენ!).



მოსკოველი დინამოელები მოსკოვის საკლუბო ნაკრების შემადგენლობაში 1934-36 წლებში არა ერთხელ შეხვედრიან საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდებს, ხოლო საკუთრივ „დინამომ“ 1936 წლის 16 სექტემბერს, მოსკოვში შავი დღე აყარა თურქეთის ეროვნულ ნაკრებს, დაამარცხა იგი ანგარიშით 4 : 0 (ორ-ორი გოლი გაიტანეს მ. სემიჩასტნიმ და მ. იაკუშინმა).

მსახის ნ. კორნეევის სასტვენზე გუნდები მოედნის ცენტრში მოეწყვნენ.

„ლოკომოტივთან“ შეხვედრისაგან განსხვავებით ბასკების შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა: მარცხენა ინსაიდად ე. ლარინაგას ნაცვლად მწვრთნელმა ვალიანომ ლუის რეგეიროს ძმა პეტრო გამოიყვანა.


„დინამოს“ შემადგენლობაშიც ერთი ცვლილება მოხდა. კარს იცავდა როსტოვის „დინამოს“ 26 წლის მეკარე ნ. ბოჟენკო, რომელიც გუნდის ხელმძღვანელობამ ამჯობინა ა. კვასნიკოვსაც და ე. ფოკინსაც. ეტყობოდა, ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნა მოსკოვში, ორი კვირის წინ „ლოკომოტივთან“ როსტოვის „დინამოს“ შეხვედრის შემდეგ.

როსტოველები დაამარცხდნენ, ანგარიშით 0 : 2, მაგრამ მეკარემ სპეციალისტების მაღალი შეფასება და სპორტული პრესის არა ერთი ეპითეტი დაიმსახურა.

„დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის დანარჩენი წევრებიც „ადგილზე“ იყვნენ: ლ. კორჩებოკოვი, ვ. ტეტერინი, ა. ლაპშინი, გ. კაჩალინი, ა. ჩერნიშოვი, მ. სემიჩასტნი, მ. იაკუშინი, ვ. სმირნოვი, ე. ელისეევი, ს. ილინი (გუნდის კაპიტანი).

მატჩმა, რომელიც თავიდან ბოლომდე აზარტულად, მაღალ 3 გ. მახარაძე

Ծեմპში ჩაიარა, სავსებით გააմաრտლა մოլովდին. չանսակუթ-
րեბու սանցերեսո გամուգա პորշելո նաხեვարո.



მოსკოვის „დინამო“ ბასკებთან მატჩის წინ.


1937 წლის 127 ივნისი.

6. ვოლკოვის ფოტი

მოსკოველებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და იერიში იე-
რიშე მიჰქონდათ. უშედეგოდ მთავრდებოდა ბასკების ცდა.
თამაშისათვის ხელსაყრელი მიმართულება მიეცათ. ლაპშინი
და ჩერნიშოვი აქტიურობის საშუალებას არ აძლევდნენ სტუ-
რების გარემარტებს ალონსოსა და გოროსტიცას, კაჩალინი
კარგად მეურვეობდა ლ. რეგეიროს, კორჩებოკვი და ტეტე-
რინი დარაჯობდნენ ლანგარას და პ. რეგეიროს. უურნალი
„ფიზკულტურა ი სპორტი“ შენიშნავდა, რომ ნახევარი საათის
მანძილზე ბასკებმა კარში დარტყმა ვერ მოახერხეს. ამავე

დღოს ბლასკომ რამდენიმე საშიში დარტყმა მოიგერია, ხოლო მე-9 წუთზე იხსნა კარი გოლისაგან, როცა ბრწყინვალედ აიღო სემიჩასტნის უძლიერესად დარტყმული ბურთი.

ბასკები ხშირად ბურთს პირით ხაზს იქით გზავნიდნენ — იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდათ თავით თამაშში, კუთხურიდან ბურთის მოწოდება მათში შიშს არ იწვევდა.



ბასკები-მოსკოვის „დინამო“. იაკუშინი (წინა პლანზე),
სმირნოვი (ცენტრში), მის გვერდით — აელო, კაჩალინი
(სილრმეში), მინდორზე წევს ბლასკო.

მოსკოველთა სათამაშო უპირატესობა კონკრეტულ შე-
დეგს არ იძლეოდა, რადგან როგორც სპორტული პრესა შე-
ნიშნავდა, დინამოელებს აკლდათ ის რაც ბასკებმა „ლოკომო-
ტივთან“ შეხვედრაში ასე ბრწყინვალედ აჩვენეს: სისწრაფე,
ბურთის მსუბუქად და ოსტატურად ფლობა, შეთამაშება და




ადგილის ამორჩევის უნარი. ღინამოელთა თავდამსტურები ელისეევი, სმირნოვი და იაკუშინი აშკარად აგვიანებდნენ, რის გამოც გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა დაიყარგა.

26-ე წუთზე მწვავე მომენტი შეიქმნა ბასკების საჯარიმო მოედანზე. ბურთი მიიღო ილინმა, რომელმაც არ დააყოვნა და ნახტომში, ძნელი მდგომარეობიდან უძლიერესი დარტყმით მაღალი ბურთი გაგზავნა კარისაკენ. ბლასკოს ნახტომი ამაო გამოდგა და ანგარიში გაიხსნა 1 : 0.

ბასკებმა გააფთრებით შეუტიეს ღინამოელთა კარს. ისინი უმცირეს შესაძლებლობებსაც კი იყენებდნენ მდგომარეობის გასამწვავებლად. ერთი ასეთი შანსი მათ მიეცათ 43-ე წუთზე: ლანგარამ ლამაზად აართვა ბურთი მოსკოველ დამცველს და ღაიძრა კარისაკენ. მასთან ერთად დიდი სიჩქარით გარბოდა ლ. რეგეირო, რომელიც მზად იყო ბურთის მისაღებად. ამ მომენტში ღინამოელთა მცველები შეცდნენ. არავის უცდია ლანგარას შეჩერება, არც არავინ „ჩაკეტა“ რეგეირო. მცველთა დაბნეულობით ისარგებლა ლანგარამ, ბურთიანად მიუახლოვდა საჯარიმო მოედანს, 25 მეტრიდან დაარტყა და ბურთი „როგორც ქვემეხის ყუმბარა კარის ზედა კუთხეში შევარდა“. ანგარიში გათანაბრდა 1 : 1.

ტაიმის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლდა. ბურთი ისევ მოსკოველთა ნახევარზე აღმოჩნდა. ჩერნიშოვმა თავით ცუდად ითამაშა, რაც გამოიყენა იქვე ახლო მყოფმა გოროსტიცამ, ბიძგით წინ გაიჭრა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „კრასნი სპორტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რეცენზიის ერთი ქვეთავი სპორტულმა უურნალისტმა, წარსულში რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანმა მ. რომბა (მხედველობაში გვყავს არა



ბასკები — მოსკოვის „დინამო“. სემიჩასტნი (მარცხნიდან
პირველი) ბასკების კარის წინ.

ცნობილი კინორეჟისორი მ. რომი, არამედ სცენარისტი, ავტორი სცენარისა, რომლის მიხედვითაც თბილისში, 1937 წელს გადაიღეს პირველი საბჭოთა სასწავლო ფილმი ფეხბურთზე). ასე დაასრულა: „სამი წუთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი“.

საერთო აღიარებით, პირველი ტაიმი მაღალი კლასის ფეხბურთის დემონსტრაცია იყო. სპორტულ პრესაში აღინიშნა, რომ იმაზე საინტერესო თამაში, რაც პირველ ტაიმში იყო, მოსკოვს არასოდეს უნახავსო.

მეორე ტაიმი ბასკებმა ისეთ ტემპში წარმართეს, თითქოს

თამაში ახალდაწყებული ყოფილიყოს. თუ პირველი ნახევარი დინამოელთა დიდი უპირატესობით აღინიშნა (მ. რომი-წერტა „გამოუყენებელ შესაძლებლობათა 42 წუთი“), მეორე ტაიმში მოედანზე უკვე ბასკები დომინირებდნენ.

მოსკოველთა კართან წარმოქმნილი ყველა კრიტიკული სი-



ბასკებისა და მოსკოველ დინამოელთა მეგობრული შარები. მარცხნიდან ა. სუბიეტა, ს. ილინი, პ. რეგეირო, მ. სემიჩასტნი, მარჯვნივ (ქვემოთ) ს. აედო (ყ. ლიმბეკის და ი. უზბიაკოვის ნახ.).



ტუაციის აღწერა შორს წაგვიყვანს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მექარე ბოჟენეროს სამედო თამაში. მან არა-ერთხელ გამოიჩინა თავი და პრესამაც მისი თამაში დადებითად შეაფასა. „დინამოს“ სხვა წევრებიდან, ისევე როგორც პირველ ტაიმში, ძალზე აქტიური იყო ილინი, ხოლო სემიჩასტნი და იაკუშინი ვერ იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტს, 26-ე წუთზე ილინმა ზუსტი მიწოდებით კარისაგან 9-10 მეტრის დაშორებით გარღვევაზე გაიყვანა იაკუშინი. ანგარიშის გათა-

ნაბრების მოლოდინში სტადიონი წამით გაირინდა. დარტყმა..
და როგორც „კრასნი სპორტი“ ირონიულად შენიშვავდა, თავში
ბურთის მომწოდებელმა ბიჭმა ხელები თავში წაიშინა.

მეორე ნახევარში, თამაშისაგან შთაბეჭდილება გარკვეუ-
ლად გააფერმქრთალა დინამოელთა, კერძოდ სმირნოვის, კორ-
ჩებოკოვის და ლაპშინის უხეშობამ.

შეხვედრის ანგარიში არ შეცვლილა. გაიმარჯვა ბასკეთის
•ნაკრებმა.

თამაშის შემდეგ სტუმრების მწვრთნელმა ვალიანომ
თქვა, რომ მოსკოვის „დინამო“ ყველაზე ძლიერ გუნდად
მიაჩინა იმ საბჭოთა გუნდებში, რომელთა თამაშიც მან ნახა.
დინამოელები ძალზე სწრაფები არიან, მაღალი ტექნიკა და
თამაშის ტაქტიკა აქვთ, რაც აკლდა „ლოკომოტივს“. სამაგიე-
როდ „ლოკომოტივი“ გაცილებით კორექტულად თამაშობს.
დინამოელთაგან სხვებზე უკეთ ითამაშეს მარცხენა გარემარბ-
მა (ილინმა, — გ. მ.) და მეკარემ (ბოუენკომ, — გ. მ...).

ლენინგრადში ჩასვლისას გუნდის კაპიტანმა ლ. რეგეირომ
პირველსავე ინტერვიუში შეაქო მოსკოველ დინამოელთა თა-
მაშის კლასი, განსაკუთრებით ალინიშნა თავდასხმის ხუთეუ-
ლის (ეტყობა, პირველი ტაიმის შთაბეჭდილებებით, — გ. მ.)
მაღალოსტატური თამაში.

ერთადერთი ფრე

30 ივნისს, ბასკეთის ნაკრები გუნდი ლენინგრადის ნაკ-
რებს შეხვდა. ლენინის სახელობის სტადიონი 27 ათას კაცს
იტევდა, განაცხადი 100 ათას კაცზე იყო შემოსული (სპორ-

ტულ პრესაში მაშინვე გამოითქვა მოსაზრება იმის შესხებ,
რომ ლენინგრადს ესაჭიროება გაცილებით მეტი ტევზღობის
სტადიონი, რაც შემდგომ წლებში აღსრულდა კიდეც: ს. კი-
როვის სახელობის სტადიონი 100 ათას კაცს იტევს) მატჩის,
მსვლელობა რადიოთი გადაიცემოდა. შეხვედრის გასაშუქებ-
ლად 18 ფოტოებორტიორი მოსულიყო, აქვე იყვნენ „სოი-
უზკინოქრონიკის“ კინოპერატორებიც. სტადიონის კარები
თამაშის დაწყებამდე 3,5 საათით ადრე გახსნეს.

ლენინგრადული ფეხბურთი საკავშირო სარბიელზე 1936-
37 წლებში ჩატარებულ სამივე ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში ორი
გუნდით („დინამო“, „კრასნაია ზარია“) იყო წარმოდგენილი,
1938 წელს მათ კიდევ ორი („სტალინეცი“ და „ზენიტი“) დაე-
მატა, ამავე წელს „ელექტრიკი“ (ყოფ. „კრასნაია ზარია“) თა-
სის ფინალშიც კი გავიდა.


მატჩის მსახმა 6. უსოვემა მოუხმო გუნდებს.

ბასკები მოედანზე წინა მატჩებისაგან განსხვავებით რამ-
დენადმე გადახალისებული და ზოგიერთი ფეხბურთელის ად-
გილშენაცვლებული შემადგენლობით გამოვიდნენ: გ. ბლასკო,
პ. არესუ, ს. აედო, ა. სუბიეტა, ხ. მუგუერსა რ. ეჩებარია,
პ. რეგეირო, ლ. სილაურენი, ი. ლანგარა, ლ. რეგეირო, გ. გო-
როსტიცა.

ამრიგად შემადგენლობაში არ იყვნენ მარცხენა ინსაიდი
ლარინაგა და მარცხენა გარემარბი ალონსო. მათ ადგილებზე
შესაბამისად გადაინაცვლეს ლ. რეგეირომ და გოროსტიცამ.
მარჯვენა გარემარბის ადგილი დაიკავა პ. რეგეირომ, მარჯვენა
ინსაიდისა — სილაურენმა, ხოლო მარჯვენა ნახევარმცველად
გამოვიდა 18 წლის სუბიეტა.

ლენინგრადის ნაკრები: ი. ევრანოვი (ლესგაფტის სახ.

ფიზკ. ინსტ.), მ. დენისოვი, პ. კისელიოვი (ორივე „დინამო“),
ა. ჭიაბლიკოვი, ბ. ივინი (ორივე „სტალინეცი“), ვალ. ფირიძოვი,
დოროვი, კ. საზონოვი, პ. დემენტიევი, ა. კრიაუკოვი, ა. ი. ფი-
ოდოროვი, პ. ბიქოვი (ყველა „დინამო“).



პ. დემენტიევი (შავ მაისურში) 1935 წ.

ლენინგრადული ფეხბურთის სიძლიერეზე ლაპარაკობს
თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ შემადგენლობიდან მომდევნო
წლის შედეგების მიხედვით უძლიერესთა ხუთეულში შედი-
ოდნენ: მ. დენისოვი (მეხუთე), პ. კისელიოვი (მეოთხე), ვალ.
ფიოდოროვი (მესამე), კ. საზონოვი (მეოთხე), პ. ბიქოვი
(მეოთხე).

კარის გათამაშებისას სასაცილო შემთხვევა მოხდა, რაზე-
დაც ბასკები მოგვიანებით მხიარულად ყვებოდნენ. გვიპოვთ


6. უსოვმა ზურგს უკან ხელში დამალა სასტვენი და გუნ-
დის კაპიტენებს ლ. რეგეიროსა და ბ. ივინს შესთავაზა არჩევა-
ნი. „ლუის, მარჯვენაშია! ლუის, მარჯვენაშია!“ გაპყვირიან
მსახის ზურგსუკან მდგომი ბასკი ფეხბურთელები ესპანურად.
მსახი, ცხადია ვერ ხვდებოდა რაში იყო საქმე. ლუისმა კი
„გამოიცნო“ და ბასკებმა დაიწყეს თამაში ქარისა და მზის
მიმართულებით.

ლენინგრადელებმა აზარტულად, ამაღლებული განწყობი-
ლებით დაიწყეს თამაში. უკვე მეორე წუთზე დემენტიევმა
ოსტატურად მოატყუა ორი მეტოქე და ბურთი კრიაუკოვს
მიაწოდა, მაგრამ ბლასკომ ნახტომში მოიგერია დარტყმა. დე-
მენტიევმა შემდეგშიაც არაერთხელ გამოიჩინა თავი. „გამო-
ირჩევა პ. დემენტიევი, — წერდა გაზეთი „პრავდა“, — მარდი
და მოძრავი. მოხერხებულად უვლიდა ის გვერდს ბასკ ფეხ-
ბურთელებს და ბურთს ზუსტად აწვდიდა პარტნიორებს, რი-
თაც მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა“.


ლენინგრადელებმა გაითვალისწინეს ბასკების ოსტობა
თავით თამაშში და დაბალი მიწოდებებით წარმართავდნენ შე-
ტევას. მასპინძლებს იერიშების წარმართვაში არც ის გარემო-
ება უშლიდათ ხელს, რომ ბასკებს ზურგქარი ეხმარებოდა
(გაიხსენეთ კენჭისყრის ცერემონიალი), 21-ე წუთზე ბასკები
დაჯარიმდნენ. კუთხეში ძლიერად დარტყმული ბურთი ბლას-
კომ სხარტი ნახტომით მოიგერია, მაგრამ იქვე გაჩნდა საზო-
ნოვი და გახსნა ანგარიში.

წარმატებით ფრთაშესხმული ლენინგრადელები აგრძე-
ლებდნენ შეტევებს. ბასკები ცდილობდნენ აკრძალული ილე-

თებით დაცვათ თავი, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა: 25-ე ცენტ შეიძლება მსახმა თერთმეტმეტრიანი საჭარიმო დანიშნა მათ კუთხით ში. ა. ფიოდოროვის დარტყმა... ბურთი ხვდება კარის ძელს და იკარგება ანგარიშის გაზრდის ასპროცენტიანი შანსი.



ბასკები-ლენინგრადის ნაკრები. მექანი ევრანოვი ილებს ბურთს.
მარცხნივ, სილრმეში (ნახტომში) ლანგარა.
ვასიუტინსკის ფოტო



ბასკები გამოცოცხლდნენ. 30-ე წუთზე ლანგარას დარტყუ-
მული ბურთი სცდება კარს. მომდევნო ათი წუთიც შეთივე
უპირატესობით აღინიშნა. ლენინგრადელთა დაცვაც მოწოდე-
ბის სიმაღლეზეა.

ტაიმის ბოლო წუთებში ისევ ლენინგრადელები უტევენ.
43-ე წუთზე ლენინგრადელთა ცენტრფორვარდი კრიუკოვი
კარგად გაიჭრა კარისაკენ და ზუსტი დარტყმით მეორე გოლი
გაიტანა.

თამაშის პირველმა ნახევარმა ნათელყო, რომ ბასკებმა
შეცდომა დაუშვეს, როცა შეთამაშებული მარჯვენა ფრთა მო-
შალეს. ექსპერიმენტმა აშკარად არ გაამართლა. ყოველივე
ამას სწორი ანალიზი გაუკეთა მწვრთნელმა ვალიანომ და შე-
სვენების შემდეგ მაყურებლებმა ისევ „ძველი“ გუნდი ნახეს
მოედანზე: გორისტიცა და ლ. რეგეირო დაუბრუნდნენ თავ-
დასხმის მარჯვენა ფრთას, სილაურენმა მარჯვენა ნახევარმცვე-
ლის ჩვეული ადგილი დაიკავა, ხოლო მარცხენა გარემარბი-
სა — სუბიეტამ. მარცხენა ინსაიდის ზონაში პ. რეგეირომ
გადაინაცვლა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბასკებმა ენერგიულად შეუ-
ტიეს, მაგრამ არანაკლებ ენერგიულად იცავდა თავს ლენინ-
გრადელთა დაცვის ხუთეული. საიმედოდ თამაშობდა ორივე
მცველი — დენისოვი და კისელიოვი. სპორტულმა პრესამ
განსაკუთრებულად აღნიშნა ცენტრალური ნახევარმცველის
ივინის მობილური თამაში, მან მთელი მატჩი საუკეთესოდ
ჩაატარა, უნარიანად ხელმძღვანელობდა დაცვას. მეორე ტაი-
მის 15 წუთი დამთავრდა და ტაბლოზე ანგარიში ისევ 2 : 0
იყო ლენინგრადელთა სასარგებლოდ. ერთი წუთის შემდეგ კი
თანაფარდობა ანგარიშში დაირღვა: მარჯვენა ფრთიდან ჩაწო-



დებულ ბურთზე კარგად გავიდა პ. რეგეირო, უმალ შენინგრა
რომ მექარე ევრანოვს არასწორი პოზიცია ეჭირა და თავური
დარტყმით შეამცირა სხვაობა. ლენინგრადის ნაკრების ახალ-
გაზრდა მექარემ „დანაშაული“ იმით გამოისყიდა, რომ ორი
წუთის შემდეგ, როგორც იტყვიან „მკვდარი“ ბურთი აიღო.

ლენინგრადელები გააქტიურდნენ, საგოლე მომენტიც შექ-
მნეს ბასკების კართან, მაგრამ ისევ ა. ფიოდოროვმა „დაალა-
ლატა“ ისინი: კარის წინ დაიბნა და ხელიდან გაუშვა აშკარა
შანსი.

ჯერი ბასკებზე მიღვა. ათი წუთის მანძილზე ლენინგრა-
დელთა კართან ჩამოწოდებული იქნა სამი კუთხური და რამ-
დენიმე საჯარიმო. 29-ე წუთზე კრიაუკინი, რომელმაც ფეხი
იტკინა, მოედნიდან გავიდა და იგი შეცვალა ლენინგრადის
„სპარტაკის“ თავდამსხმელმა ე. შელაგინმა. ერთი წუთის შეძ-
დეგ, ლანგარამ ისახელა თავი: გვერდი აუარა რამდენიმე დამ-
ცველს და ისევ ყუმბარისებური დარტყმით ანგარიში გაათა-
ნაბრა.

შემდგომ იერიშებს შედეგი არ მოუტანია და ლენინგრა-
დელებმა შესძლეს ამ საპატიო ანგარიშის შენარჩუნება.

სპორტულ პრესაში აღინიშნა მექარე ევრანოვის, დაცვისა
და ნახევარდაცვის მოთამაშების, რომელთაგან გამოჰყოფ-
დნენ დენისოვს, ივინსა და ვალ. ფიოდოროვს, ხოლო თავ-
დასხმაში კრიაუკოვისა და განსაკუთრებით პ. დემენტიევის
კარგ თამაშს. გოლის გატანის მიუხედავად მოედანზე ყველაზე
სუსტი საზონოვი იყო.

ითქვა იმაზე, რომ მოსკოვის მატჩებთან შედარებით შე-
ხვედრა ბასკებმა ლენინგრადში უფრო დაბალ დონეზე ჩატა-
რეს. ლენინგრადელთა ნახევარმცველმა ვალ. ფიოდოროვმა



წარმატებით „ჩაკეტა“ ლუსის რეგეირო. ბასკ ფეხბურტელთა-
გან დადებითად შეაფასეს ორივე დამცველის არესუს და ავდოს
თამაში, მაგრამ ყველაზე მეტი ქება წილად ხვდა ცენტრალურ
ნახევარმცველ მუგურსას. როგორც ყოველთვის ამჯერადაც
ძლიერად ითამაშა „მექარეთა რისხვამ“ ლანგარამ.

მწვრთნელმა ვალიანომ ფრე ახსნა ბასკების შემაღვენლო-
ბაში რამდენიმე ძირითადი მოთამაშის არყოფნით და ამდენად,
იძულებითი ექსპერიმენტით.

პრესაში გამოითქვა შენიშვნები მსაჭობის თაობაზე. აღი-
ნიშნა, რომ უსოვის გადაწყვეტილებები ყოველთვის ზუსტი
არ იყო და საერთოდ, მატჩი მან არათანაბრად ჩატარა.

მატჩ-რევანში

იმ დღეებში უურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“ წერდა:
„დარტყმას, რაც ბასკეთის გუნდმა თავის პირველივე გამოსვ-
ლაში „ლოკომოტივს“ მიაყენა (5 : 1), სავსებით ბუნებრივია,
შეეძლო პესიმისტური აზრი შეექმნა ჩვენი ფეხბურთის კლა-
სის შესახებ. მაგრამ უკვე მომდევნო მატჩმა, რომელიც „დი-
ნამომ“ სულ მინიმალური ანგარიშით 1 : 2 წაავო, გვიჩვენა,
რომ ჩვენი საქმეები არც ისე ცუდათაა. ამაზე მიუთითებდა
არა მარტო შედეგი, არამედ თვით მატჩის მსვლელობა, მინ-
დორზე ბრძოლის მიმღინარეობა, მასში გუნდების ძალთა თა-
ნაფარდობა. ბასკები გვჯობდნენ ტექნიკით, გვაძლევდნენ თა-
მაშის ტაქტიკურ ნიმუშებს. თითოეული მოთამაშე თავისი
საქმის ოსტატია. გუნდმა მთლიანად გაამართლა ევროპის
ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელთა გუნდის ჩეპუტაცია.



„დინამომ“ სტუმრებს დაუპირისპირა ჩვენთვის დამახასრით უკავშირდებოდა სილამაზე და ოსტატობა რამდენიც ბასკებს გააჩნიათ, არამედ ეფექტურობა. მატჩის შემდეგ უნებურად წამოიჭრა საკითხი: რა იქნება, ერთხელ კიდევ რომ ვითამაშოთ არა მოგებისათვის რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, არამედ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა საკუთარი კლასი, შეგვედარებინა ძალა ევროპულ მასშტაბში?

ამიტომ იყო, რომ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დანიშნა კიდევ ორი მატჩი მოსკოვში: 5 ივლისს — „დინამოსთან“, 8 ივლისს — „სპარტაკთან“.


გადაწყდა ორივე შემთხვევაში ბასკებთან სათამაშოდ გამოსულიყვნენ გაძლიერებული შემაღენლობებით.

5 ივლისი. ცხადია ამ შეხვედრას მატჩ-რევანშის ხასიათი ეძლეოდა. ამასთან საპრესტიურ მნიშვნელობაც.

ალბათ, ამით თუ იყო გამოწვეული აზრთა სხვადასხვაობა გუნდის მოსალოდნელ შემაღენლობასთან დაკავშირებით. შესაძლოა, გარკვეულად ყურადღებდნენ კიდეც მეტოქეთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს.

მოსკოვის „დინამოსთან“ 27 ივნისის მატჩის შემდეგ, შეკითხვაზე რა ნაკლოვანებები შეამჩნია, ბასკეთის ნაკრების მწვრთნელმა უპასუხა: „ეჭვსგარეშეა, დაცვა თავდასხმაზე სუსტია. რაც შეეხება თავდასხმას, გაცილებით მეტი უნდა ითამაშოს გარემარბებით. ეს მეტნაკლებად ყველა საბჭოთა გუნდს ეხება. მეტოქეთა კარის წინ სულ ტყუილუბრალოდ ბევრს აწვდიან ერთმანეთს ბურთს. საჭიროა კარში სწრაფი დარტყმები, მეტი გაბედულება.“

გაზეთმა „ქომსომოლსკაია პრავდამ“ 3 ივლისის ნომერში



გაძლიერებული „დინამოს“ შემდეგი სავარაუდო შემადგენლობა გამოაქვეყნა: მეკარე ა. ლოროხოვი, დაცვა მ: შავგულიძე (ორივე თბილისის „დინამო“) და ლ. კორჩებოკოვი. ნახევარდაცვა ა. ლაპშინი, ე. ელისეევი და ა. რიომინი, თავდასხმა მ. სემიჩასტნი, მ. იაკუშინი, ვ. სმირნოვი, კ. შჩეგოცკი (კიევის „დინამო“), ს. ილინი.


თამაშის დღეს გაზითში გამოცხადებულ შემადგენლობაში ცენტრალური ნახევარმცველის ადგილზე ორი კანდიდატურა იყო გათვალისწინებული: ე. ელისეევი ან გ. კაჩალინი, ხოლო თავდასხმაში კიეველი შჩეგოცკის ნაცვლად ლენინგრადელი პ. დემენტიევი ეწერა.

მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელმა ვ. დუბინინმა თამაშის წინ განაცხადა, რომ გუნდი ითამაშებს ენერგიულად და ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ არ დაარღვიოს კორექტული თამაშის საზღვრები. შემადგენლობაში პ. დემენტიევის შეყვანის გამო მწვრთნელმა გამოთქვა რწმენა, რომ იგი „დინამოს“ შეთამაშებული ფორვარდების ოთხეულში უთანხმოებას არ შეიტანს (პ. დემენტიევი, „პეკა“, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ ლენინგრადელი გულშემატკივრები, ცნობილი იყო როგორც დრიბლიორი) და ამდენად მავანი და მავანი შიშობ-

¹ 1981 წლის ბოლოს წინა ნომერში ყოველკირეულმა „ფუტბოლ-ჰოკეიმ“ დაბეჭდა „ესკიზი ძმები დემენტიევების პორტრეტისათვის“.

გამოიჩინა, რომ 69 წლის პეკა ისევ თვის პოზიციაზე დგას, არ შეუცვლია საფეხბურთო კრედიტი: „ფეხბურთი, უდაოდ, გართულდა, ეს ნამდვილია... მე კოლეგტიური თამაშის მომხრე ვარ, მაგრამ რა სარგებელია იმათვან, ვინც ყოველ სიტუაციაში, ვითომდა ტემპის გაზრდისათვის ჩქარობს მოიცილოს ბურთი, ვერ ბედავს გაიჭრას ინდივიდუალურად და გზადაგზა რამდენიმე მეტოქე მოატყუოს. ტექნიკა, ტექნიკა...

შეკითხვაზე რომელი გუნდია მის გულთან ახლოს, უპასუხა — თბილისელები, სხვა ვინ უნდა იყოს...



და რამდენად „ჩატურებოდა“ ის კოლექტიურ თამაშში, — გრ. გ. მსახის ვ. სტრეპიხევის სასტვენზე გუნდები უკვე მოედან-ზე არიან. ბასკები გ. ბლასკო, პ. არესუ, ს. აედო, ლ. სილაუ-რენი, ხ. მეგუერსა, რ. ეჩებარია, გ. გოროსტიცა, ლ. რეგერო, ი. ლანგარა, ხ. ირარაგორი (პირველად გამოვიდა ჩვენთან ჩატარებულ მატჩებში) და ე. ლარინაგა (ე. ალონსოს ნაცვ-ლად.)

გაძლიერებული „დინამო“ — ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, ლ. კორჩებოკოვი, ა. ლაპშინი, გ. კაჩალინი, ვალ. ფიოდოროვი (ლენინგრადის „დინამო“), მ. სემიჩასტნი, მ. იაკუშინი, ვ. სმირ-ნოვი, პ. დემენტიევი, (ლენინგრადის „დინამო“) და ს. ილინი.

სათადარიგოთა შორის იყვნენ მექარე ე. ფოკინი, დამცვე-ლი ვ. ტეტერინი, ნახევარდამცველები: ე. ელისეევი და ა. ჩერნიშოვი, რომელმაც მეორე ტაიმში ვალ. ფიოდოროვი შეცვალა, თავდამსხმელი ა. პონომარიოვი.

— თბილისელები საუკეთესო, გულისხმიერი, მხიარული ფეხბურთელები იყვნენ — მონდომებულნი, ცეცხლოვანი, ტექ-ნიკურნი, ნებისყოფიანი, — უთქვამს შემდეგში სპორტის დამს. ოსტატს, სსრკ დამსახ. მწვრთნელს მ. იაკუშინს, — ტყუილად როდი მოვიწყიეთ ერთხმად ბასკების წინააღმდეგ სათამაშოდ ჩვენს გუნდში (რომელიც „დინამოს“ ნაკრების სახელით გა-მოვიდა) თბილისელები შავგულიძე და დოროხოვი.

1982 წლის აგვისტოში, სასტუმრო „აჭარაში“ შევხვდი სპორტის დამსახ. ოსტატს, სსრკ დამსახ. მწვრთნელს გ. კაჩა-ლინს, რომელიც მაშინ, როგორც „ტყავის ბურთის“ საკავშირო კლუბის თავმჯდომარის მოადგილე თბილისში იყო ჩამო-სული საკ. ალკ. ც. ქ-ის პრიზის „ტყავის ბურთის“ საკავშირო 4. გ. გახარაძე



გათამაშების ფინალურ ტურნირზე. ორიოდე კითხვით მივწმონ
თე მას:

— მოსკოვის „დინამო“ ორჯერ შეხვდა ბასკეთის ნაკრებს: საქუთრივ „დინამო“ (შეცვლილი იყო მხოლოდ მეკარე) და გაძლიერებული „დინამო“. ორივე შემთხვევაში თქვენი გუნდის კარს სხვა გუნდების მეკარეები იცავდნენ. რით უნდა ავხსნათ ეს? მოსკოველ დინამოელებს ხომ მაშინ ურიგო მეკარეები არ ჰყავდათ?


— პირველი შეხვედრისათვის არც ერთი ჩვენი მეკარე (ა. კვასნიკოვი, ე. ფოქინი) მზად არ იყო. როსტოკველი ბოუენ-კო ამ მხრივ ეჭვს არ იწვევდა. მისი დამსახურება როსტოკის „დინამოს“ წარმატებაში დიდი იყო: იმ წელს გუნდმა გაიმარჯვა „ვ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო გათამაშებაში და „ბ“ კლასში გამოსვლის უფლება მოიპოვა. რაც შეეხება მეორე შეხვედრას (გაძლიერებული შემადგენლობით), პირველ მატჩში განცდილი მარცხის შემდეგ, ცხადია, მას პრესტიული ხასიათი ჰქონდა და ამიტომაც შეაჩერეს არჩევანი თბილისელ ა. დოროხოვზე, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ იყო აღიარებული. იმავე მოტივებით იყო განპირობებული სხვა ფეხბურთელების: თბილისიდან მცველ შ. შავგულიძის, ლენინგრადიდან ნახევარმცველ ვალ-ფიოდოროვის და თავდამსხმელ პ. დემენტიევის მიწვევაც.

— პირველ მატჩში თქვენ, როგორც ცენტრალურმა ნახევარმცველმა კარგად გაართვით თავი ლუის რეგეიროს მეურვეობას. მეორე შეხვედრის სპორტულ ანგარიშებში პრესამ ფაქტიურად გვერდი აუარა თქვენი ორთაბრძოლის შეფასებას.

— მეორე შეხვედრა ბასკებმა წარმოუდგენლად მაღალ დონეზე ჩატარეს. გულახდილად გეტყვით, რეგეიროსთან ვე-

რაფერს გავხდი, მოედანზე სულ სხვა რეგეირო იყო. სწავლითა კუთხით შორის, არც ერთ ჩემს კოლეგას დაცვის და ნახევარდაცვის ხაზიდან თავი არ გამოუჩენია, თუმცა ეს ჩემთვის ვერაფერი ნუგეში იყო.

შეხვედრა ბასკების მძაფრი, ენერგიული შეტევით დაიწყო. „მათი თავდასხმა მგზნებარე რეგეიროს წინამძლოლობით ზვა-ვივით მიექანებოდა მოსკოველთა კარებისაკენო“, — ხატოვნად შენიშნავდა უურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“. აი, რე-



ბასკები — მოსკოვის „დინამო“ (გაძლიერებული შემადგენლობა).
(მარცხნიდან) დემენტიევი, გოროსტიცა, კორჩებოკოვი და ლაპშინი.
ი. ფიგუროვის ფოტო

გეირომ მარცხენა ფრთასთან ერთად შეუტია მოსკოველებს და დინამოელებმა როგორც იყო მოიგერიეს იერიში.

პირველივე წუთებში ბრძოლა გაჩაღდა მთელ მოედანზე. უკვე მე-3-ე წუთზე ლანგარა ბურთიანად გაიჭრა კარისაკენ,




სირბილშივე გაცვალა ადგილი რეგეიროსთან და როცხუმონათ, რომ შეტევას თვით გააგრძელებდა მოულოდნელად ბურთი შას მიაწოდა. ღორონვემა გაბეღულ ნახტომში მოიგერია რეგეიროს უძლიერესი დარტყმა, მაგრამ იქვე ახლოს აღმოჩნდა ლანგარა, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ დამცველთაგან ხელს არავინ უშლიდა და ელვისებურად გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა.

დინამოელები ცდილობენ საპასუხო იერიშის განვითარებას, მაგრამ არ გამოსდოთ. მე-7 წუთზე მარჯვენა ფრთიდან გოროსტიცამ კართან ჩამოაწოდა ბურთი, დაცვამ ოდნავ დააყოვნა, რაც უმაღლ გამოიყენა ლანგარამ.

იერიში დინამოელებმა წამოიწყეს. ილინი აწოდებს დემენტიევს, ის კი კარისაკენ გზავნის ბურთს, მაგრამ უშედეგოდ დემენტიევ-სმირნოვის კომბინაცია, ამ უკანასკნელის დარტყმა, მაგრამ ბურთი ისევ სცდება კარს.

მე-20-ე წუთზე ბასკებმა უმაღლეს საშემსრულებლო ტექნიკურ დონეზე ჩატარეს კომბინაცია, რამაც მთელი სტადიონი აღტაცებაში მოიყვანა. ნახევარდაცვის ზონაში რეგეირომ მიიღო ბურთი და გადააწოდა გოროსტიცას, რომელიც სწრაფად დაიძრა ფრთაზე. მისგან მარცხნივ გარბოდა ლანგარა, რომელმაც რეგეიროს ადგილზე გადაინატვლა. ორი დინამოელი გოროსტიცასაკენ გაემართა. გოროსტიცამ ისე მოიქნია ფეხი, თითქოს ბურთი ლანგარასთვის უნდოდა მიეწოდებინა, დინამოელებმა მკვეთრად შეიცვალეს განზრახვა და ეხლა ლანგარას მიუბრუნდნენ, მაგრამ გოროსტიცას ბურთი არ გადაუწოდებია. ეს მან ფინტი გამოიყენა, თავისუფლება მიიღო, ჯიქურ აუარა გვერდი დაბნეულ კორჩებოკოვს და პრაქტიკუ-



ბასკები — მოსკოვის „დინამო“ (გაძლიერებული შემაღენლობა).
ლარინაგამ წამით დასწრო შავგულიძეს და გაიტანა მეოთხე ბურთი.
ლად აუღებელი ბურთი გაგზავნა კარის მარცხენა კუთხეში.
3 : 0.

დინამოელთა გარემარბებმა სემიჩასტნიმ და ილინმა ენერ-
გიულად შეუტიეს ფლანგებიდან, მაგრამ იმის გამო, რომ ცენ-

ტრალური სამეული სისტემატურად სიღრმეში იხევდა დაცვის დასახმარებლად, ფლანგების აქტიურობას შედეგით მოჰყოლია. ასეთ პირობებში ბასკებს იერიშები ოდნავადაც არ შეუნელებიათ და ახალ წარმატებასაც მიაღწიეს: 25-ე წუთზე ლარინაგამ ანგარიში ოთხამდე გაზარდა.

როგორი საქმეა, 25 წუთში ოთხი გოლი საკუთარ კარში? სწორედ ამ მომენტში დინამოელთა თამაშში დეპრესიის ნაცვლად მოხდა მოულოდნელი, პირდაპირ განსაცვიფრებელი მეტამორფოზა. სხვა რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა სასწაული იმას რომ შვიდ წუთში დინამოელებმა ერთბაშად სამი გოლის გაქვითვა შეძლეს: ჯერ სემიჩასტნის მიერ კარის წინ ჩაწოდებულ ბურთზე კარგად გავიდა დემენტიევი, რომელიც მანამდე მეტწილად სხვებს ამარავებდა ბურთით, ამჯერად კი თვითონ გადაწყვიტა შეუჩერებლივ დაერტყა კარში. შემდეგ სმირნოვმა უძლიერესი დარტყმით შეამცირა სხვაობა, ხოლო ბოლოს სემიჩასტნიმ მიიღო ილინის მიწოდება და თავური დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა.

ყოველივე რაც მოხდა მოულოდნელი იყო არა მარტო მაუჩერებლებისათვის არამედ თვით ბასკი ფეხბურთელებისათვისაც. 4 : 3 ასე დამთავრდა ტაიმი.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველის ფინალური ნაწილის გაგრძელება აღმოჩნდა. აშკარა იყო, შესვენებამაც ვერ დაამშვიდა ჩვენი სტუმრები. დინამოელები კვლავ იერიშზე არიან. ორივე მხარე ნერვიულობს, შეცდომებს უშვებს. ერთ ასეთ შეცდომას მოჰყვა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო ბასკების კარში. სმირნოვის დარტყმა და ანგარიში თანაბრლება.

მეოთხე გოლმა ცივი შხაპის როლი ითამაშა, ბასკები გამოფხიზლდნენ და ჩვეული ძალით ეკვეთნენ დინამოელთა კარს.

საქმეს ვერ უშველა მეკარე დოროხოვის მაღალოსტატურმა
თამაშმა. დინამოელებს, როგორც გაზეთი „პრავდა“ უწერდება
აშკარად უღალატა გამძლეობამ და ნებისყოფამ. ტაიმის დარ-
ჩენილ დროში ბასკებმა უნარიანად გამოიყენეს დინამოელთა
დაცვასა და ნახევარდაცვაში დაშვებული შეცდომები. ლანგა-
რამ, ეჩებარიამ და ისევ ლანგარამ სამი გოლით გაზარდეს
ანგარიში.

რევანში არ გამოვიდა. ანგარიშით 7 : 4 გაიმარჯვა ბას-
კეთის ნაკრებმა, რომელმაც ერთხელ კიდევ აჩვენა თამაშის
მაღალი ტექნიკა და კარგი ტაქტიკა... („პრავდა“).

„ამ მატჩმა ცხადყო, რომ თუ ბასკებს შეუძლიათ გოლების
გატანა, მათი კარი როდი არის რეინის ურდულზე ჩარაზული.
კარგი თავდასხმით მათთან თამაში შეიძლება, თუკი ამასთან
გავითვალისწინებთ ბასკთა გუნდის ზოგიერთ სპეციფიურ თა-
ვისებურებას, შემდეგმა შეხვედრამ დაადასტურა ეს“, — წერ-
და უზრნალი „ფიზკულტურა ი. სპორტი“.

გამარჯვება? არის!

როგორც უკვე ითქვა, 8 ივლისისათვის დანიშნული იყო
„სპარტაკის“ გაძლიერებული შემადგენლობის შეხვედრა ბას-
კეთის გუნდთან. საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ ლიგებს
(პირველ ჩემპიონატში — მესამე ადგილი, მეორე ჩემპიონ-
ნატში — პირველი, მესამე ჩემპიონატში — მეორე) არც სა-
ერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება აკლდა.

„სპარტაკის“ მაშინდელი მწვრთნელის ქ. ქვაშნინის ხელშ-
ძლვანელობით დაიწყო საგულდაგულო მხადება საბრძანებულ



მატჩისათვის. დიახ, „სპარტაკის“ გარღიერებულ შემადგენლობას უნდა ეხსნა სამამულო ფეხბურთის პრესტიჟი.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ივლისის ერთ-ერთ ნომერში ასეთი ცნობაც გამოქვეყნდა: „ამ გუნდის შემადგენლობაში გათვალისწინებული ყველა მოთამაშე მოსკოვშია თავმოყრილი. ისინი ცხოვრობენ სტადიონზე ტარასოვკაში („სპარტაკის“ ბაზა დღემდე, — გ. მ.) და ორ სავარგიშო შეხვედრას გამართავენ. გუნდის შემადგენლობა დამტკიცდება შეხვედრამდე ერთი ან ორი დღით ადრე. დაგეგმილია შემდეგი ძირითადი კანდიდატურები: მეკარე ა. აკიმოვი, დაცვა — სპორტის დამსახ. ოსტატი ალ. სტაროსტინი და სოკოლოვი; ნახევარდაცვა ა. მიხაილოვი, ან. სტაროსტინი, ს. ლეუტა, კ. მალინინი (ცდკა) და ვალ. ფიოდოროვი (ლენინგრადის „დინამო“); თავდასხმა ვ. შილოვსკი (კიევის „დინამო“), ვ. სტეპანოვი, ვ. სემიონოვი, პ. დემენტიევი (ლენინგრადის „დინამო“), პ. ტერენკოვი („ლოკომოტივი“) და გ. ფედოტოვი („მეტალურგი“)!.

„სპარტაკის“ ვიცე-კაპიტანი ან. სტაროსტინი (მაშინ კაპიტანი იყო მისი ძმა ალექსანდრე) მოსწრებულად შენიშნავს, რომ „ტარასოვკა იქცა უმაღლესი საფეხბურთო სარდლობის მთავარ ბანაკად“. აქ იყვნენ ფეხბურთის სპეციალისტები, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

როგორც გუნდის დაკომპლექტებისათვის, ასევე მატჩისა-

¹ ან. სტაროსტინი წიგნში „დიდი ფეხბურთი“ (მოსკოვი, 1959) შეცდომით წერს გ. ფედოტოვი ამ დროს ცდკა-ში თამაშობდათ.

თვისაც მომზადებაში გათვალისწინებული იქნა ბასკების მიერ
ჩვენს ქვეყანაში უკვე ჩატარებული მატჩების გაცვეთილები:
ანალიზი გაუკეთდა მათი თამაშის მანერას, სპეციფიურ მზა-
რეებს, ცალკეული ფეხბურთელის თვისებებს. ამასთან დაკავ-
შირებით, მოვიტანთ ნაწყვეტს გ. ფედოტოვის წიგნიდან „ფეხ-
ბურთელის ჩანაწერები“:

— ბასკები ტექნიკურად და ფიზიკურად კარგად იყვნენ
მომზადებულნი. ისინი თამაშობდნენ იმდროისათვის ნაკლებად
ცნობილი „დუბლ-ვეს“ სისტემით: თავდასხმის ცენტრი და
ორიგე გარემარბი წინ, შუამარბები (ინსაიდები, — გ. მ.) —
თავდასხმის თითქოსდა მეორე ეშელონში... ნახევარდაცვა და
დაცვა ზონალურად თამაშობდნენ, ე. ი. კონტროლს უწევდნენ
შოედნის გარკვეულ ნაწილს თავის ნახევარზე, ნახევარდამ-
ცველები იერიშში არ ჩაერთვიან, შეტევის დროს ამჯობინებენ
შოედნის შუაგულში დარჩენას. ხუთი — თავდასხმაში, ხუთი —
დაცვაში,... თავიანთი ტექნიკური უპირატესობის, ზუსტი მი-
წოდებებისა და კარგად დაყენებული დარტყმების იმედით
დაბალ ტემპში თამაშობენ.

გ. ფედოტოვს ბასკების ტექნიკურ სისუსტედ მიაჩნდა, რომ
ნახევარმცველები არა მარტო არ ერთვებიან იერიშებში, არა-
მედ არ მისდევენ მეტოქეებსაც, რომლებიც ბურთით გაცდე-
ბიან მათ და წინ მიიწევენ. შენიშნა, რომ დამცველები, გან-
საკუთრებით მარჯვენა, სისტრატით არ გამოირჩევიან.

„ტარასოვკის ბანაკმა“ გადაწყვიტა გუნდს ეთამაშა მაღალ
ტემპში, დაცვას და ნახევარდაცვას დაევალა „ჩატარება“ თი-
თოეული თავდამსხმელი და არც ერთ მომენტში არ მოსცილე-
ბოდათ მათ. როგორც გ. ფედოტოვი, ან. სტაროსტინი და
სხვები აღნიშნავენ, მოთამაშების პერსონალური მეურვეობა



მაშინ ტაქტიკური მიგნება, ტაქტიკური სიახლე იყო. „მოძრავი დაცვის ტაქტიკა, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებულს შეიცავს იყო პირველად გამოყენებული, თამაშის ახალი ტაქტიკური ფორმების ძიების რთული პროცესის მნიშვნელოვანი მომენტი გამოდგა, — წერს გ. ფედოტოვი.


დადგა ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის დღე „სპარტაკი“ მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ა. აკიმოვი, ალ. სტაროსტინი (გუნდის კაპიტანი), ვიქ. სოკოლოვი, ა. მიხაილოვი, ან. სტაროსტინი, კ. მალინინი (ცდკა), ვ. შილოვსკი (ციევის „დინამო“), ვ. სტეპანოვი, ვ. სემიონოვი, კ. შჩეგოცი (ციევის „დინამო“), გ. ფედოტოვი („მეტალურგი“). პირველივე ტამში დაზიანებულ მიხაილოვს ცვლის ს. ლეუტა.

ბასკები: გ. ბლასკო, პ. არესუ, ს. აედო, ლ. სილაურენი, ხ. მუგუერსა, რ. ეჩებარია, გ. გოროსტიცა, ლ. რეგეირო, ი. ლანგარა, ხ. ირარაგორი, ა. სუბიეტა.

თამაში მშვიდად დაიწყო, მაგრამ ბასკებმა ჩვეული სისწრაფით გათამაშეს ბურთი და „სპარტაკი“ გადაურჩა გოლს: სუბიეტას დარტყმა აცდა კარს, იქვე თამაშში ჩაება ბლასკო, რომელმაც ნახტომში მოიგერია შჩეგოცის დარტყმა.

ორივე გუნდი ფრთხილობს, სპარტაკელებმა დასახული გეგმის მიხედვით „დაინაწილეს“ მეტოქები და მჭიდროდ მეურვეობენ მათ: გოროსტიცას „იჭერდა“ ვიქ. სოკოლოვი, სუბიეტას — ალ. სტაროსტინი, ან. სტაროსტინი აჩრდილივით დასდევდა ლანგარას. ხშირად ეხმარებოდა ნახევარდაცვას სტეპანოვი.

მე-5 წუთზე სტეპანოვის უძლიერესი დარტყმა მოიგერია ... კარის ძელმა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ სწრაფი გარღვევა განახორციელა ახალბედა ფედოტოვმა, მაგრამ



მოსკოვის „სპარტაკის“ გაძლიერებული შემადგენლობა ბასკებთან
მატჩის წინ. (მარცხნიდან) სტეპანოვი, მალინინი, მიხაილოვი,
შჩეგოცკი, შილოვსკი, ფედოტოვი, სოკოლოვი, სემიონოვი,
ან. სტაროსტინი, აკიმოვი. წრეში — გუნდის კაპიტანი
ალ. სტაროსტინი. 1937 წლის 8 ივნისი.

მის მიერ ჩამოწოდებული ბურთი ბასკებმა მოიგერიეს —
სპარტაკელი პარტნიორები ჩაკეტილნი აღმოჩნდნენ.

ბასკების თავდასხმას თამაში არ გამოსდის. მარცხნა
ფრთა სუსტი ჩანს, გოროსტიცა ადრინდელი გოროსტიცა ვერ
არის, ერთი რეგეირო ცდილობს დამაკავშირებელი რგოლის
როლი შეასრულოს ნახევარდაცვისა და თავდასხმას შორის.
მე-14 წუთზე სპარტაკელებმა სწრაფი კომბინაცია გაა-
თამაშეს. ლეუტამ ბურთი შჩეგოცკის გადასცა, შჩეგოცკიმ

გარღვევაზე გაიყვანა ფედოტოვი, რომელმაც... იქნებ ჯობდეს
მოვუსმინოთ საერთაშორისო მატჩში თავისი პირველი გოლის
ავტორს:


— მივიღე თუ არა ბურთი, კარისაკენ გავემართე, დამცვე-
ლი ჩემსკენ წამოვიდა... კორპუსით ცრუ მოძრაობას ვაკე-
თებ, ვითომ-და მარჯვნივ ვაპირებდი გაგრძელებას, დამცვე-
ლიც მაშინვე იქითკენ იხრება. მეც ეს მინდოდა. ვაკეთებ
ბიძგს ბურთიანად. გავცქერი, ვანგარიშობ ვინმეს გადავაწოდო
ბურთი თუ მე თვითონ დავარტყა. მცელი ჩამომრჩა, მაგრამ
არ ვნალვლობ, რადგან ვიცი ვერ დამეწევა. წინ, ახლა სულ
ახლოს, მეკარე მოემზადა ნახტომისათვის. ვფიქრობ დავარტყა;
იგი შესძლებს მოგერიებას ან აიღებს. ისე მოვემზადე თით-
ქო ცენტრში უნდა გადავსცე ბურთი. როგორც კი მეკარემ
ოდნავ გადაინაცვლა კარის შუაგულისაკენ, მაშინვე დავარტყა.
ბურთმა კარის ბოძს ჩაუარა და ბადეში გაეხვია!“.

ანგარიში გაიხსნა.

„სპარტაკი“ ფლანგებით უტევს. სისწრაფეს და შეტევებს
თავისი გააქვს — უპირატესობა „სპარტაკის“ მხარეზეა. გამარ-
თლდა წინასამატჩო მზადების დროს მიცემული მითითება.

ბასკები ცდილობენ გრძელი მიწოდებებით ფლანგიდან
ფლანგზე გადაიტანონ თამაში, მაგრამ უშედეგოდ. რეგეირო
მუშაობს განუწყვეტლივ და ბრწყინვალედ, ძირითადად ნა-
ხევარდაცვის ზონაში. აგერ, მან სამი სპარტაკელი მოატყუა
და ბურთი წინ გაგზავნა. მაგრამ თავდასხმა ჩვეული ენერ-
გით ვერ იბრძვის. სპარტაკელთაგან გამოირჩევა ფედოტო-
ვი, რომელიც სილრმიდან იწყებს იერიშებს.

ასე გაგრძელდა ტაიმის 25-ე წუთამდე, ბოლოს სილაუ-
რენმა საჯარიმოში „დაკიდა“ ბურთი. ან. სტაროსტინი წერს,



ბასკები — „სპარტაკი“ (მარცხნიდან) ლანგარა, ან. სტაროსტინი,
არტემიევი, მალინინი.

რომ თავისუფლად შეეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ გაი-
გონა აკიმოვის რეპლიკა „ვიღებ“ და შეჩერდა. რატომლაც და-
ყოვნდა აკიმოვიც და შურდულივით გამოჭრილმა ლანგარამ
მაინც ჩავლო „თავის“ მომენტს...

— ბურთი აქვს სილაურენს, იგი გზავნის მას საჯარიმო
მოედანზე, კართან ახლოს, — მოგვითხრობს ა. აკიმოვი, —
ბურთისთვის იბრძვიან ისიდრო ლანგარა და ანდრეი სტაროს-
ტინი. მე მათკენ გავწიე, მაგრამ წამით დავაგვიანე. ლანგარამ
თავური დარტყმით ბურთი ცარიელ კარში ჩაჭრა. გოლია.
დიახ, შეცდომა ჩავიდინე.



ზუსტად ერთი წუთის შემდეგ სტეპანოვმა გაარღვეშ განკურ-
ბის დაცვა, მაგრამ მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი
კარის ძელმა უკან გამოაბრუნა. სტეპანოვის განმეორებითი
დარტყმა კი მიზანს მოხვდა. 2 : 1.

ტაიმის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, როცა ბასკებმა,
როგორც ან. სტაროსტინი წერს, რომ იტყვიან ნოტების მი-
ხედვით გაითამაშეს კლასიკური კომბინაცია და ირარაგორიმ
მოხდენილი თავურით ანგარიში გაათანაბრა.

შესვენებაზე სპარტაკელებმა იძულებითი გადანაცვლებები
მოახდინეს. კოჭჭვივის დაზიანების გამო გუნდის კაპიტანი
ალ. სტაროსტინი ს. არტემიევმა შეცვალა. მალინინმა მარჯვენა
მცველის ადგილი დაიჭირა, მისი — არტემიევმა. კაპიტინის
ლენტი ანდრეი სტაროსტინმა ჩაიბარა.

გაზეთ „პრავდის“ კომენტატორი შენიშნავდა, რომ მეორე
ტაიმი სპარტაკისათვის ტრიუმფალური გამოდგაო. თუმცა
პირველი წუთები ბასკების შეტევებით აღინიშნა. ორჯერ ზე-
დიზედ აწვდიან ისინი სპარტაკელთა კართან კუთხურს და
ორჯერვე უზადოდ თამაშობს აკიმოვი. სპარტაკელებიც არ
თმობენ. გათამამდა სტეპანოვი, რომელიც ფედოტოვთან დუ-
ეტში რისხვად იქცნენ ბასკებისათვის. მე-12 წუთზე მსაჭი
კოსმაჩოვი გარღვევაზე გასული ფედოტოვის წაქცევისათვის
ბასკებს აჯარიმებს თერთმეტმეტრიანით. შილოგსკის დარტყმა
უნაკლოა.

ამასთან დაკავშირებით უურნალი „ფიზკულტურა ი სპორტ“
წერდა: „ბევრმა, პირველ მატჩებში ბასკების ბრწყინვალე თა-
მაშით მოხიბლულებმა მიიჩნია, რომ ამ მატჩის წაგების მთე-
ლი მიზეზი იყო ეს საჯარიმო. მაგრამ გულუბრყვილობა იქნე-
ბოდა გვეფიქრა, რომ ბრძოლებში ისეთი გამოწრთობილი



ბასები — „სპარტაკი“. თამაშობს მექარე აკმოვი.
ი. ფიგუროვის ფოტო

გუნდი, როგორიც ჩვენი სტუმრებია, მორალურად განაღვურდებოდა თუნდაც ერთი ზედმეტი გოლით, მაშინ როცა წინ კიდევ 30 წუთზე მეტი სათამაშო დრო იყო დარჩენილი“.

სპარტაკელთა იერიშები კიდევ უფრო გამძაფრდა და შედეგმაც არ დაყოვნა: 22-ე და 23-ე წუთებზე ბლასკოსთან პირისპირ გასულმა სტეპანოვმა და ტერენკოვის (შესცვალა სე-

მიონოვი) მოზომილი გადაცემებიდან, შილოვსკიმ, რომელმაც
ლამაზად გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა, უნგარიშიში
ხუთამდე გაზარდეს.

„სპარტაკმა“ კიდევ ორი ფეხბურთელი შეცვალა. მათ
ნაცვლად მოედანზე შემოვიდნენ პ. სტაროსტინი და გ. გლაზ-
კოვი.


თამაშის დამთავრებას ოთხი წუთი აკლდა, როცა ერთ-
ერთი ბასკი ფეხბურთელი უხეშად ეთამაშა სპარტაკელს და
სტეპანოვმა საჯარიმოდან უძლიერესი დარტყმით ბურთი კა-
რის ძელთან ბადეში გაახვია.

ანგარიში 6 : 2 გაიმარჯვა „სპარტაკმა“, რომელმაც წარმა-
ტებას მიაღწია სწორი ტაქტიკის გამოყენებით. ამასთან აღი-
ნიშნა იმის შესახებაც, რომ ბასკების თავდასხმა წინა მატჩე-
ბისაგან განსხვავებით სუსტად გამოიყურებოდა.

მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობაზე ლაკონიურად
გამოთქვა აზრი ცნობილმა სპორტულმა უურნალისტმა, „ფუტ-
ბოლ — ჰოკეის“ (მაშინ „ფუტბოლი“ ერქვა) პირველმა რე-
დაქტორმა მ. მერქანოვმა: „მატჩი დამთავრდა „სპარტაკის“
გამარჯვებით 6 : 2 და მთავარი ის არ არის, რომ ექვსიდან ორი
გოლი, როგორც იტყვიან, მსაჯ კოსმაჩოვის არც თუ დაუხმა-
რებლად იქნა გატანილი... მთავარი სხვაა: ეს იყო პირველი გა-
მარჯვება პირველხარისხოვან პროფესიონალ ფეხბურთელებ-
თან, რომლებიც „დუბლ-ვეს“ სისტემით თამაშობდნენ“.

— მატჩამდე ჩვენ არ ვიცოდით, რომ „სპარტაკი“ ასეთი
ძლიერი გუნდია. როცა „დინამოსთან“ გავიმარჯვეთ ჩავთვა-
ლეთ, რომ მოვუგეთ მოსკოვის ყველაზე საუკეთესო გუნდს.
მოგვეცით ჩვენშის საშუალება.

ამის საშუალება კი არ იყო, რადგან ბასკებთან „დინამოს“



წაგებამ და „სპარტაკის“ გამარჯვებამ გადაწყვიტა საკითხი თუ ვინ წასულიყო ჩვენგან ანტვერპენში მუშათა საერთაშორისო რისო ოლიმპიადაზე, ხოლო იქედან პარიზში — 1937 წლის მსოფლიო გამოფენისადმი მიძღვნილ ტურნირზე.

ეს იყო მოსკოვის „სპარტაკი“, რომელიც ანტვერპენში თითქმის იგივე შემადგენლობით (აკიმოვი, ძმები ალექსანდრე, ნიკოლოზ, პეტრე და ანდრე სტარისტინები, მიხაილოვი, მალინინი, სოკოლოვი, არტემიევი, შილოვსკი, სტეპანოვი, სემიონოვი, გლაზევოვი, ტერენკოვი, ფედოტოვი) გაემგზავრა. არ იყო მხოლოდ კ. შჩეგოცი.

„სპარტაკმა“ ფინალში დაამარცხა ნორვეგიის გუნდი (2 : 0) და მოიგო ანტვერპენის ოლიმპიადა. ერთი კურიოზული ფაქტი მინდა ავღნიშნო: გუნდის ძირითადი შემადგენლობის 5 წევრი ავად გახდა და მწვრთნელები იძულებული გახდნენ ფინალურ შეხვედრაში, მარცხენა ნახევარმცველის ადგილზე გამოეყვანათ... დმიტრიევი, სსრ კავშირის ჩემპიონი ტანვარ-ჯიშში.

რიგი პიევზეა

„კიევის დინამოელები სტუმრებს ხედებოდნენ გაძლიერებულ „სპარტაკთან“ დამარცხებილან ერთი კვირის შემდეგ, — ვკითხულობთ ბ. მირსკისა და ბ. სემიბრატსკის წიგნში „მწვერვალებს შეჭიდებულნი“, — მაგრამ თავიანთი რიგები, დაცვის ხაზისა მაინც, მოეწყოთ „დუბლ-ვეს“ სისტემის მახედვით, როგორც ეს სპარტაკელებმა გააქეთეს, კიეველებმა ვერ გაბედეს. გუნდის წევრთა უმრავლესობამ ახალი სათამაშო ფუნქციებისა და კავშირურთიერთობის არსის შესწავლის



გარეშე არ მოისურვა სისტემის შეცვლა, მაშინ ფეხბურთელებისათვის შეიძლებოდა გაეგო, კაცს“.

ბასკებთან სათამაშოდ კიევის „დინამო“ სამ ფეხბურთელს დაესესხა: ვ. გლაზკოვს როსტოვის „დინამოდან“, ი. გვოზდკოვს მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ და მ. ტაბაჩკოვსკის ოდესის „დინამოდან“.

გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: ბასკები: გ. ბლასკო, პ. არესუ, ს. აელო, ა. სუბიეტა, ხ. მუგუერსა, რ. ეჩებარია, გ. გორისტიცა, ლ. რეგეირო, ი. ლანგარა, ე. ლარინაგა, ე. ალონსო.

კიევის „დინამო“: ნ. ტრუსევიჩი, ვ. გლაზკოვი, ი. გვოზდიკოვი, ი. ლივშიცი, მ. ტაბაჩკოვსკი, ვ. შილოვსკი, პ. ლაიკო, კ. შჩეგოცკი, პ. კომაროვი, ნ. მახინია.

მთელი პირველი ტაიმი, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმა, ისე როგორც „სპარტაკთან“ შორს იყო ჩვეული ფორმისაგან, სტუმრების ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით ჩატარდა. კიეველთა კართან განუწყვეტლივ იქმნებოდა სახითათო მომენტები. პირველსავე წუთზე ამ შეხვედრაში თავდასხმის ერთადერთმა აქტიურმა მოთამაშემ ლანგარამ გახსნა ანგარიში. 20 წუთის შემდეგ მანვე მეორედ აიღო კიეველთა კარი.

დინამოელებმა რამდენიმე საპასუხო კომბინაცია წამოიწყეს და საფრთხეში ჩააყენეს სტუმრების კარი. ეხლა კი თავი ისახელა მეკარე ბლასკომ, რომელმაც რამდენიმე „მკვდარი“ ბურთი მოიგერია.

პირველი ტაიმის დამთავრებამდე, კიეველთა კაპიტანში შჩეგოცკიმ ოსტატურად აუარა გვერდი ორ მეტოქეს და ბურ-



თი ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ შილოვსკის გადაწყვეტილებისა და, რომელმაც შეამცირა სხვაობა.

მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით პირველ წუთებს, როცა იმავე ლანგარამ „ჰეთ-ტრიკი“ გააქცეთა.

ანგარიშით 3 : 1 გაიმარჯვეს ბასყმა ფეხბურთელებმა.

კიევის დინამოელები ამ დროისათვის საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში ითვლებოდნენ. 1936 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატში მეორე, ხოლო 1937 წლისაში მესამე აღგილზე გამოვიდნენ. 1938 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ კლასიფიკაციაში ამ შემადგენლობის ექვსი წევრი მოხვდა: ნ. ტრუსევიჩი, ნ. ტაბაჩიკოვსკი, ი. ლიფშიცი და ვ. შილოვსკი რომლებიც თავიანთ სათამაშო აღგილების მიხედვით მეორენი იყვნენ, ხოლო პ. ლაიკო და პ. კომაროვი მესამენი.

გავიდა ოთხი წელი და კიეველ ფეხბურთელებს, რომელთა დღიდი უმრავლესობა დინამოელი იყო, ბედმა არგუნა უკრაინის ოკუპირებულ დედაქალაქში ჰიტლერელი ჯალათებისა და ადამიანებზე დაგეშილი დოგებით გარშემორტყმულ „სტარტის“ სტადიონზე ეთამაშათ პროფესიონალი ფეხბურთელებით გაძლიერებულ „ლიუფტვაფეს“ გუნდთან, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ჰიტლერული არმიის უძლეველობა.

წითელ მაისურში გამოწყობილმა, პურის ქარხნის მტვირთავების მძიმე შრომით ქანცგამოცლილმა საბჭოთა ფეხბურთელებმა ზეადამიანური ძალა შეალიეს ამ უთანასწორო ბრძოლას და გამარჯვებულებმა (ანგარიშით 5 : 3) მშვიდაა დასტოვეს სარბიელი.

ნალხმა ეს მატჩი „სიკვდილის მატჩად“¹ მონათლა. სიმშვი-
ლედაკარგულმა, ცოფმორეულმა ჯალათებმა სამი დღლისაშვილ-
დეგ უდანაშაულო ადამიანები საკონცენტრაციო ბანაკში შე-
რჩეკეს. ერთ დღლით ხაზზე ჩამწყრივეს და მწყრივიდან ყოვე-
ლი. მეხუთეს გამოყვანა დაიწყეს დასახვრეტად. „ყოველი მე-
ხუთე“ ოღონჩნდნენ: ნიკოლაი ტრუსევიჩი, ივანე კუზმენკო,
ალექსეი კლიმენტკო... მეოთხე დინამოელს, აგრეთვე „სიკვდი-
ლის მატჩის“ მონაწილეს ნიკოლაი კოროტკიჩს მანამდე მოუს-
წრაფეს სიცოცხლე გესტაპოს ჯურლმულებში...


ოთხივე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მამა-
ცობისათვის“.

უკრაინის სხვადასხვა ქალაქის გუნდებიდან მოვიდნენ ისი-
ნი კიევის „დინამოს“ კოლეგტივში: მეკარე ტრუსევიჩი ოდე-
სიდან, მცველი კლიმენტკო და ნახევარმცველი კოროტკიჩი
დონბასიდან, ნახევარმცველი კუზმენკო დნეპროპეტროვ-
სკიდან.

— 6. ტრუსევიჩი მართლაც საუკეთესო მეკარე იყო. ჩვენ
დიდი მეგობრები გახლდით და კიდეველთა კარში ხშირად ვე-
ნაცვლებოდით ერთმანეთს, — თქვა სპორტის დამსახურებულ-
მა ოსტატმა, უკრაინის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა
ა. იძკოვსკიმ.

თანამედროვეთა მოწმობით, ტრუსევიჩი ხანდახან თერთ-
მეტმეტრიან საჯარიმოსაც ურტყამდა.

1 ამ დრამატული მატჩის ისტორია საფუძვლად დაედო მოთხრობებს
(ვ. სევეროვისა და ნ. ხალემსკის „უკანასკნელი მატჩი“, რომელიც 1961
წელს ქართულ ენაზე გამოიცა ფ. მახარაძისა და ვ. გოგოლაშვილის თარ-
განით, ა. ბორშჩიგოვსკის „საგანგაშო ლრუბლები“ და შხატვრულ ფილმს
„მესამე ტაიმი“. (სცენარის ავტორი ა. ბორშჩიგოვსკი, რეჟისორი ე. კარე-
ლოვი).



კიევის „დინამოს“ სტადიონი. დინამოელთა გმირობის უკვდავყოფის
ძეგლი (მის ფონზე — საკავშირო პირველობაში გამარჯვებული
თბილისის „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი. 1981 წ.)

ი. კუზმენკოს ყუმბარისებური დარტყმები ჰქონდა, განსა-
კუთრებით 20—25 მეტრიდან, თითქმის ყოველ მატჩში გაჰ-
ქონდა ბურთი.

ა. კლიმენტი, გაბედული დამცველი იყო, ხოლო ნ. კოროტ-
კიხის იცნობდნენ როგორც შემტევ ნახევარმცველს, რომელიც
იერიშებს მოედნის სილრმიდან იწყებდა.

ამ ოთხეულიდან ორის — კუზმენკოსა და კოროტკიხის სა-
ხე კინემატოგრაფმაც შემოგვინახა: ლევ კასილის „რესპუბლი-

ქის მეკარის“ მიხედვით კინოსტუდია „ლენფილმის“ გადაწყვეტილი ბულ კინოკომედიაში „მეკარე“ ივან კუზმენკო სხვებთან ერთად გამოდის „ახმახების“, ხოლო ნიკოლაი კოროტკიხი — ნაკრების შემადგენლობაში.

... და დგას ქვაში გამოკვეთილი მონუმენტი საბჭოთა აღმიანის, საბჭოთა სპორტსმენის სულიერი სიმტკიცისა და მორალური ქედუხრელობის შარავანდედით მოსილ სიმბოლოდ; მივიწყება რომ არ უწერია...

... ბასკეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ტურნე საბჭოთა კავშირში დასასრულს უახლოვდებოდა.

ორი მათჩი თაილისში

წლები, ის წლები ათასეული,
წლები ჩასახვის, წლები დაწყების...
— ჩვენ და ბასკები — ყივის სხეული,
ჩვენ და ბასკები,
ჩვენ და ბასკები!

ი. აბაშიძე.

„ჩვენი ქვეყნის არც ერთ ქალაქში, ალბათ, ისე არ გულ-შემატეივრობენ თავიანთ გუნდს, როგორც თბილისში“.

ასე იწყებდა ბასკებთან თბილისელ დინამოელთა შეხვედრის კომენტარს ცნობილი სპორტული უურნალისტი იური ვანიატი.

არ ვიცი რამდენად ზუსტია ასეთი შეფასება, მაგრამ, ალბათ შეუძლებელია მრავლისმნახველი სპორტული უურნალისტის კატეგორიულ განცხადებას ეჭვის თვალით შეხედო.




ისიც არის, ცნობას თბილისში ბასკების მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ საფეხბურთო ინტერესის აზვირთება მოჰყვა.

ბილეთების გაყიდვა მატჩამდე ათი დღით ადრე დაიწყო (გინახავთ, ასეთი რამ?), შეხვედრის დაწყებამდე ორი საათით ადრე თბილისის „დინამოს“ სტადიონი მაყურებლებით იყო ავსებული. თუმცა ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ რომ მატჩები დამსწრეთა განაცხადი ოთხევრ და მეტად სჭარბობდა თვით ტრიბუნების ტევადობას. ცნობილი ქართველი არქიტექტორის არჩილ ქურდიანის (ამჟამად სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორი, პროფესორი) პროექტით აგებული სტადიონი, რომელიც 1935 წელს შევიდა ექსპლოატაციაში, ამ დროისათვის მთლიანად არ იყო დამთავრებული.

მატჩისადმი ინტერესი მართლაც განუზომელი იყო. ბასკები ხომ ბასკებია, მათ ეს ინტერესი თავიანთი ბრწყინვალე საფეხბურთო სპექტაკლებით გამოიწვიეს. ამასთან ერთად, ეს მოზღვაუბული ინტერესი დინამოელთა წარმატებებითაც იყო განპირობებული. ისინი ხომ მთელი ხმით შემოიჭრნენ საბჭოთა საკლუბო გუნდების კოპორტაში და მტკიცედ დამკვიდრდნენ მოწინავეთა შორის. დამკვიდრდნენ ცნობილი სპორტული უურნალისტის, „ფუტბოლ — ჰოკეის“ ყოფილი რედაქტორის ლ. ფილატოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთბაშად და სამუდამოდ. მუდამ კარგები იყვნენ ისინი, არავის რომ არ ჰგავდნენ....“

ჯერ იყო და 1936 წელს, საშემოდგომო ჩემპიონატზე, ქვედა ჯგუფიდან გადმოსვლისთანავე „ა“ ჯგუფის გუნდებთან პაეჭრობაში, ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან“ განცდილი მოუ-




ბასკები — თბილისის „დინამო“. ზღვა ხალხი მოაწყდა ამ დღეს
„დინამოს“ სტადიონს. 1937 წლის 24 ივნისი.

ლოდნელი მარცხი (2 : 3) რომ არა, ჩემპიონობასაც გაიკრავდნენ.

იმავე წელს, სსრ კავშირის თასის პირველ გათამაშებაში ამ საპატიო ჯილდოსაკენ მიმავალ გზაზე თბილისის დინამოელებს „შემოამარცხდათ“ ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონიც — მოსკოვის „სპარტაკი“ (3 : 3, 6 : 3) და ფინალში გავიდნენ. ეს მატჩი (ისევ ლ. ფილატოვს დავესესხები) იქცა დინამოელების აღიარების მატჩად, ყოველშემთხვევაში, მოსკოველი მაყურებლების თვალში.

„იმ დროისთვის (მხედველობაში მაქვს 1936 წელი) ქარ-

თული ფეხბურთის კლასი საგრძნობლად ამაღლდა, — განა-
ცხადა სპორტული გაზეთის „ლელოს“ კორესპონდენტთან  ბარში კიეველმა ო. იძკოვსკიმ, — გუნდს უკვე ერთობლივი
მიზანი, კოლექტიურობა ამოძრავებდა, დიდი სპორტული
უინი, სათამაშო დისციპლინა და კულტურა. თბილისის „დინა-
მო“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გახდა ჩვენს ქვეყანაში.
თითოეულ თქვენს ფეხბურთოელზე საათობით შეიძლება იღა-
პარაკო, მაგრამ მინდა ბორის პაიჭაძე გამოვყო. ეს იყო გუნ-
დის სული და გული, მუდამ ოპტიმისტური, მხიარული, ერთ-
გული... მას შეეძლო სიღინჯე და რწმენა შეეტანა თავისიანე-
ბის თამაშში, მისი მთავარი კოზირი დრიბლინგი იყო — ადვი-
ლად უსხლტებოდა 3-4 მოთამაშეს, ზუსტად და ძლიერად
ურტყამდა კარში“.

თასისათვის ბრძოლაში იგივე განმეორდა მომდევნო წელ-
საც, ოლონდ ამჯერად ნირწამხდართა შორის აღმოჩნდნენ ლე-
ნინგრადის „ზენიტი“ (9 : 1), ერევნის „სპარტაკი“ (4 : 1), ბა-
ქოს „ნეფტიანიკი“ (3 : 0), კიევის „დინამო“ (2 : 1), ცდკა
(1 : 0). ეს ბოლო ორი მატჩი თბილისელებმა მოსკოვში ჩაატა-
რეს. სხვათა შორის, კიევისა და თბილისის „დინამოს“ მატჩ-
თან დაკავშირებით, გაზეთმა „კრასნი სპორტმა“ გამოაცხადა.
კონკურსი მიმოხილვაზე კონკურსში გამარჯვებულად სცნეს
ორი ანგარიში, რომელთაგან ერთი (ავტორი ბ. გერნგროსი)
ერთ-ერთი დაწესებულების მთავარი ბუღალტერი) ასე იყო
დასათაურებული: „დიდი ურუგვაელების“ გამარჯვება“.

დიახ, ასე შეარქვეეს ჩვენს დინამოელებს ტემპერამენტია-
ნი, სწრაფი და ტექნიკური თამაშისათვის. იმ დროის სპორ-
ტულ პრესაში არც თუ იშვიათად შეხვდებოდით სათაურებს:
„დიდი ურუგვაელების“ მორიგი გამარჯვება“, „დიდი ურუგ-

ვაელები“ ნახევარფინალში გავიღნენ“, „დიდ ურუგვაის ლია“
„მეოცე გამარჯვება“ და ასე შემდეგ.

22 ივლისს ბასკი სტუმრები მიიწვიეს „საქთილეგთის“ სა-
ზაფხულო თეატრში ქართული სიმღერისა და ცეკვის საღა-
მოზე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.



ბასკები თბილისში. (მარცხნიდან) ეჩებარია, ლარინაგა, აელო,
არესუ, ლანგარა, მუგურება და ლ. რეგეირო.

ე. ლიმბეკის და ი. უზბიაკოვის მეგობრული შარეები

სალამოში მონაწილეობდნენ სახელმწიფო კაპელა რესპუბ-
ლიკის დამს. ერტისტის მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით,
ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ცნობილი ლოტ-
ბარების სანდრო კავსაძის, კირილე პაჭკორიასა და ავესენტი
მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

...მატჩის წინა დღეს პრესაში გამოქვეყნდა ბრძანებულება
მთავრობის ორდენებით და მედლებით სპორტსმენთა დიდი
ჯგუფის დაჯილდოების შესახებ. მათ შორის იყვნენ ფეხბურ-
თელებიც. გაზით „კრასნი სპორტში“ დაიბეჭდა დიდი წერი-
ლი სათაურით: „საფეხბურთო მინდვრის თერთმეტი ვარსკვ-
ლავი“.

ვის ერგო ეს დიდი პატივი?

— ლენინის ორდენით დაჯილდოვდა სპარტაკელი წერები. სტაროსტინი, შრომის წითელი ღროშის ორდენით — „სპარტაკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ კაპიტენები ალ. სტაროსტინი და ს. ილინი, „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერები გახდნენ თბილისის და კიევის დინამოელთა, აგრეთვე მოსკოვის „ლოკომოტივის“ კაპიტენები შ. შავგულიძე, კ. შჩეგოცკი და ი. ანდრეევი. ასევე ა. აკიმოვი, ან. სტაროსტინი, ს. ლეუტა („სპარტაკი“), ლ. კორჩებოკოვი (მოსკოვის „დინამო“) და პ. დემენტიევი (ლენინგრადის „დინამო“).

— ორი დღის მერე ჩვენ თბილისის „დინამოს“ უნდა ვეთამაშოთ. ძნელია იმსჯელო გუნდის ავკარგზე, რომელიც მინდორზე მხოლოდ ერთხელ ვნახეთ. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის „დინამო“ კიევისაზე უკეთესად თამაშობდა, — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა პ. ვალიანომ.

24 ივლისს ბასყები შემდეგი შემადგენლობით გამოვიდნენ: გ. ბლასკო, პ. ბარხოსი, ს. აედო, ლ. სილაურენი, ხ. მუგუერსა, რ. ეჩებარია, გ. გოროსტიცა, პ. რეგეირო, ი. ლანგარა, ე. ლარინაგა, ე. ალონსო.

ავალმყოფობის გამო თამაშში ვერ მონაწილეობდა ლუსი რეგეირო, იგი ძმამ შესცვალა.


თბილისის „დინამო“ — ა. ლოროხოვი, შ. შავგულიძე, გ. ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, გ. გაგუა, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ლ. ლოლაძე, მ. ასლამაზოვი.

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამო“ მეორე საკლუბო გუნდია მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად, რომელიც სხვა-

თაგან ფეხბურთელების დაუსესხებლად, საკუთარი ძალებით
შეერქინა ბასკ ვირტუოზებს.

თბილისელთა მწვრთნელი ა. სოკოლოვი გუნდს მოედანზე
გამოსვლამდე უკანასკნელ დარიგებას აძლევს: მინაევმა უნდა
„აიყვანოს“ ლანგარა, ჭუმბურიძემ—რეგეირო, ჯორბენაძემ—
ალონსო. შავგულიძე და გაგუა მარცხენა ინსაიდ ლოლაძესთან
ერთად ითამაშებენ ნახევარდაცვის ზონაში. დანარჩენები?
დანარჩენები წინ!


ღინამოელთა უმრავლესობა პირველ საერთაშორისო შეხ-



ბასკები — თბილისის „დინამო“. პაიჭაძე ორ დამცველს შორის.

სილრმეში — მ. ბერძენიშვილი.

ღოკ. ფილმი „ბასკები თბილისში“




ვედრას ატარებდა. 1935 წელს, ამიერკავკასიის ნაკრების შემადგენლობაში სკანდინავიის ქვეყანაში მუშათა კავშირის გუნდებთან ნათამაშევი პქონდა ოთხეულს შ. შავგულიძეს, ა. დოროხოვს, გ. ჭუმბურიძეს, მ. ბერძენიშვილს. მაგრამ სად მუშათა კავშირის გუნდი და სად პროფესიონალთა ფეხბურთი? ხოლო პროფესიონალი ფეხბურთელების წინააღმდევ მხოლოდ ა. დოროხოვსა და შ. შავგულიძეს უთამაშიათ სწორედ ბასკონიასთან, მოსკოვის „ლინამოს“ გაძლიერებულ შემადგენლობაში. მანამდე კი ა. დოროხოვმა 1933 წელს ივანოვოს გუნდის შემადგენლობაში ა. უორდანიასთან და ანიკინთან (შემდგომში თბილისის „ლინამოს“ ნახევარდამცველი) ერთად თურქეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა (ანგარიშით 7 : 3 გაიმარჯვა ივანოვოს გუნდმა).

მატჩის მსაჭის ლენინგრადელი ა. შჩელჩკოვის სასტუდიური პაიჭაძემ ბურთი თამაშში შეიყვანა. თბილისელები სტუმრების კართან გაჩნდნენ. დარტყმა და ბლასკომ თავგანწირული ნახტომით აიღო ბურთი. რამდენიმე უძლიერესი დარტყმის მოგერიება მოუხდა დოროხოვს, მათ შორის ლანგარასიც.

თბილისელთაგან ეფექტურად თამაშობს გავაშელი — „სწრაფი სვანი“, როგორც მას მოსკოველებმა შეარქვეს. იგი თავისუფლად უვლის გვერდს ეჩებარის და ბურთს ცენტრში აგზავნის, მაგრამ აქ პაიჭაძეს საიმედოდ დარაჯობენ, ხოლო ბერძენიშვილი მეტწილად ნახევარდაცვის ზონაში აყოვნებს.


ბასკები რამდენიმეჯერ აწვდიან კუთხურიდან ბურთს და ერთხელ ლანგარას გააქვს კიდეც გოლი თავური დარტყმით, მაგრამ მსაჭმა არ ჩათვალა ეს გოლი, რადგან პ. რეგეირო თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პრესაში აღინიშნა, რომ ბასკები თავდასხმაში ცდილობენ შეუქმნან ლანგარას დამაგვირ-



„ბასკეტი — თბილისის „დინამო“. თბილისელთა კართან. ეჩებარია
(მარცხნივ, სილრმეში) პ. რეგეირო, დოროხოვი და ლანგარა
(წინა პლანზე).

ი. ვანიატის ფოტო

გვინებელი დარტყმის სიტუაცია, რომელსაც თბილისელთა
დაცვა არც თუ იშვიათად ხელოვნურად უწყობდა თამაშგარე
მდგომარეობას. ამ შემთხვევაში მცირე დატვირთვა აქვს გა-
რემარბებს, განსაკუთრებით ალონსოს, თამაში ბასკეტის უმ-
ნიშვნელო უპირატესობით მიმდინარეობს, დინამოელთა დაცვა
მოწოდების სიმაღლეზეა. არც თავდასხმაა უქმად. მე-20 წუთ-



ზე ბლასკომ კარგად აიღო ლოლაძის ზუსტად დარტყმული ბურთი, ერთი წუთის შემდეგ კი გავაშელის დარტყმა მომიზადება გერია.


მოედანს სტოვებს ბარხოსი. მის ნაცვლად შემოდის დაცვის ძირითადი მოთამაშე პ. არესუ.

22-ე წუთზე მარცენა ფრთაზე გაჭრილი ალონსო ზუტად აწვდის ლარინაგას, რომლის უძლიერესად დარტყმული ბურთი კარის ბოძს ხვდება.

ბასკები შეტევას აგრძელებენ. აი, ლანგარა პირისპირ რჩება დოროხოვთან, მაგრამ თბილისელთა მეკარე გაბედული ნახტომით ფეხიდან აცლის ბურთს. კიდევ სამჯერ მოსინჯა „ტანქ-მა“ თბილისელთა კარი, მაგრამ მის მიერ დარტყმულ „მკვდარ“ ბურთს ოსტატურად იღებს დოროხოვი (მოგვიანებით სახელგანთქმული ა. აკიმოვი იტყვის: „მაღალი, ძლიერი, ტანადი დოროხოვი... გაბედულად მოქმედებდა მთელ საჯარიმო მოედანზე, გამოიჩინდა სწრაფი რეაქციითა და ბურთის მიღების ჩინებული უნარით“).

— სტუმართა ერთ-ერთი შეტევის დროს ჩვენი გუნდი დაჯარიმდა... ლანგარამ შორიდან ძლიერად დაარტყა კუთხე-ში... ბურთი ზედ კარის ხაზზე ავიღე, მაგრამ მკერდი მეტკინა და უცებ ვერ წამოვდექი, — იგონებდა თბილისელთა კარის დარაჯი, — ავიხედე და დავინახე რომ ჩემსკენ მთელი სისწრაფით მორბოდა ლანგარა. ვითიქრე კარში ბურთიანად უნდა გამიტანოს-მეთქი და წამომხტარმა ცრუ მოძრაობით ავიცილე იგი, მაგრამ ლანგარამ მოულოდნელად ხელი დამკრა მხარზე და ხმამაღლა თქვა „ზამორა, ზამორა!“ ეს შედარება ჩემთვის დიდი პატივი და სიხარული იყო.

იერიშზე თბილისელები არიან. ზედიზედ გზავნიან ბურთს



ბასკები — თბილისის „დინამო“. დოროხოვის საპატიო დუელი
პ. ჩეგეიროსთან. მარცხნივ — მინაევი, მარჯვნივ — შავგულიძე,
სიღრმეში — ჯორბენაძე.

კარისაკენ პაიჭაძე, ასლამაზოვი, გავაშელი, მაგრამ მათი დარწმუნები არაზუსტია.

უზუსტოდ ურტყამს ლანგარაც — ბურთი მცირე მანძილით სცდება კარს. იქვე დოროხოვი ნახტომში თავიდან აცლის ბურთს სილაურენს. ერთი წუთის შემდეგ კი ბლასკო კარის ხაზზე უსწრებს ბურთს.


35-ე წუთზე გოროსტიცამ გაიტაცა ბურთი თავის ფრთაზე და თბილისელთა კართან მწვავე მომენტი შეიქმნა, ბურთს წამიერად დაეუფლა ლანგარა, არ დააყოვნა და ანგარიში გახსნა.

თბილისელები კონტრშეტევაზე გადადიან. ლოლაძის კარგად ჩაწოდებული ბურთი გავაშელმა სამი მეტრიდან ძლიერად გაგზავნა კარში, მაგრამ ბლასკომ განსაცვიფრებელი ნახტომით პირით ხაზს იქით მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმიც ღინამოელთა იერიშებით დაიწყო. ასლამაზოვი შეცვალა ვ. ბერძენიშვილმა, თუმცა ამ ცვლილებასაც არ გამოუცოცხლებია მარცხენა ფრთა. მოწონების ტაშს იმსახურებდა 22 წლის გაგუა, რომელიც იმ დღეს პირველად გამოვიდა ძირითად შემაღენლობაში. ყველგან ასწრებდა იგი: შეტევის წინა ხაზზეც და ლრმა დაცვაშიც, პრესის მოწმობით გაგუა ნახევარდაცვის წამყვანი მოთამაშე იყო. ბასკთაგან აღტაცებას იწვევს სილაურენის თამაში.

— ო, რა ნახევარდამცველი ჰყავდათ, სილაურენი. გრძელი, ზუსტი და გონივრული მიწოდებების ოსტატი იყო, — მეუბნება ბორის პაიჭაძე.

— ან. სტაროსტინმა, 1982 წელს მითხრა, რამდენიმე წლის წინ სილაურენი გარდაიცვალა, დიდი ამბით აღუნიშნავს ესპანეთის პრესას. ბორისმა მოიწყინა, რამდენიმე ხანს ხმა ვერ ამოილო. „დასანანია, ძალზე დასანანიაო“...



36-ე წუთზე ჩვეული ოსტატობით გაიბრწყინა პატარებების მან შესძლო სამი მეტოქის მოტყუება და ბლასკოსთაზე პირის პირ გავიდა. კარამდე სამი მეტრილა იყო დარჩენილი, მაგრამ ფორტუნამ ზურგი აქცია ფორვარდს: ძლიერად დარტყმული ბურთი მაინც დამაინც დაწოლილ მეკარეს მოახვედრა. ერთი წუთის შემდეგ არ გაუმართლდა ბერძენიშვილსაც, რომელმაც ბურთი პირდაპირ ფეხზე დაუსვა ცარიელ კარში ჩამდგარ მცველ აედოს.



ბასკები — თბილისის „დინამო“. მეორე გოლი დინამოელთა კარში. (მარცხნიდან) კუმბურიძე, ლანგარა, მინაევი. მარჯვნივ (ლია ფერის მაისურში) — ღორონხვი. დოკ. ფილმი „ბასკები თბილისში“



თამაშის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა. მოხდა ის, პრაცესული შემეტეს შემთხვევაში ხდება, როცა გუნდი განუწყვეტლივ შეტევაზეა და ვერადა ვერ იყენებს ხელსაყრელ საგოლო მომენტებს. განა ცოტა გვინახავს, რომ სწორედ ამ მოიერიშე გუნდს მიუღია გოლი თავის კარში? ასე მოხდა მაშინაც: 44-ე წუთზე პ. რეგეირომ მოაწოდა კუთხური. დოროხოვმა მაღალ ნახტომში მოიგერია, მაგრამ ბურთი შემთხვევით მოხვდა მინა-ევს და კარში შეგორდა. მართლაც რომ დასანანი გოლია! 2 : 0.

ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.

აი, რას წერდა „კომუნისტი“: „ბასკებმა ამ დღეს განსაცვიფრებელი მოქნილობა და მაღალი ტექნიკა გამოამუღავნეს, მათ თავით თამაშს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებლები. მოძრაობაში და სირბილში, თავდასხმისა და თავდაცვის ხერხებში იგრძნობოდა შინაგანი ძალა და ორგანიზებულობა“.

„დინამომ“ საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩაატარა მატჩი და საპატიო შედეგსაც მიაღწია. შედარებით მოისუსტებდა თავდასხმა, განსაკუთრებით მარცხენა ფრთა, უკეთესად თამაშობდნენ მცველები და მეკარე“. გაზეთი „მოლოდოი სტალინეცი-წერდა: „უნდა აღინიშნოს დაცვა, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა მთელი მატჩის მანძილზე და შესანიშნავად მოთამაშე დოროხოვი, რომელმაც მრავალჯერ იხსნა კარი გოლისაგან. სუსტად ითამაშა ლოლაძემ, რომელმაც ვერ გაამართლა იმედები. ამასთან ხშირად უხეშობლა... ვერც ბასკები თამაშობდნენ მთელი ძალით“.

გაზეთი „მუშა“: „ტემპს ბასკები ქმნიან ბურთის სწრაფი გადაცემით და არა სირბილით. ამიტომაც ნაკლებად იღლებიან... თავდასხმას აკლდა შემაკავშირებელი რგოლი (ლუის



რეგეირო), ამიტომ არ იყო დახვეული კომბინაციები უნაკულონი იყვნენ ბლასკო, არესუ, აედო, ხავბეკი სილაურენი, თავდამსხმელები: გოროსტიცა და ლანგარა.

ჩვენთან სუსტი იყო მარცხენა მხარე. ნამდვილი ოსტატური თამაში გვიჩვენეს დოროხოვგმა, შავგულიძემ, ჯორბენაძემ და პაიჭაძემ. ამ მატჩში პაიჭაძის განსაკუთრებით კარგი თამაში იმის მაჩვენებელია, რომ ის სწრაფად იზრდება და ყალიბდება ბრწყინვალე მოთამაშედ“.

— პაიჭაძის მსგავსი არაფერი მინახავს... ეს არის ფიზიკურად ძლიერი, გასაოცარი სისწრაფით, არაჩვეულებრივი ტექნიკური ილეთებით და, რაც მთავარია, მეტად ორიგინალური დრიბლინგის მქონე ფეხბურთელი... და თუ პაიჭაძის მრავალრიცხოვანი გარღვევა გოლით არ დაგვირგვინდა, ამაში „დანაშაული“ მხოლოდ მექარე ბლასკოს მიუძღვის, — თქვა თამაშის შემდეგ სტუმრების ნახევარმცველმა რ. ეჩებარიამ.

* * *

— მახსოვს, იმხანად ყველას ბასკი ფეხბურთელები ექერა პირზე და ვინც კი ბილეთი იშოვა, ცხადია, „დინამოს“ სტადიონისაკენ გაეშურა, — იგონებდა ქართული ჩოგბურთის ამაგდარი იან გომერი.

ფიზიკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა დააკმაყოფილა თხოვნა ბასკ ფეხბურთელებთან მეორე შეხედრის ჩატარების შესახებ.

მატჩი ჩატარდება 30 ივლისს. ბასკებთან ითამაშებს საქართველოს ნაკრები.

მატჩის მოლოდინში, პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა

ბასკეთისა და საქართველოს ფეხბურთელთა გასულ და  მომა-
ვალ ორთაბრძოლას მიუძღვნა ლექსი „ფეხბურთი“:¹

ჩვენებმა ბასკებს ბურთი მოსტაცეს,
ლეოპარდივით იბრძვის ლანგარა,
და პაიჭაძე — მძლავრი ისტატი
ამართულია ფოლადის ფარად.

ორივე გუნდი თავის შეტევით
იწვევს დაძაბულ გრძნობათა ლხენას,
არ ჩადიოდეს ეს მზე ნეტავი,
ბინდი არ სწყვეტდეს სხეულთა დენას!

ტაშს ვუკრავოთ ბასკებს შეუნელებლად:
ჩვენს წინ იხსნება ძირთასი მხარე,
საღაც ებრძვიან ესპანელები
ფრანკოს ფაშისტურ და ველურ ჯარებს.

ნაკრები რამდენიმე დღით კიყეთში წავიდა, ბასკები აგრძე-
ლებდნენ ვარჯიშს „დინამოს“ სტადიონზე. ლუის რეგეირო და
ხოსე ირარავორი დასასვენებლად ბორჯომს გაემგზავრნენ.

თ: მაშს ისევ ა. შეხელჩეკოვი მსაჯობდა.

ბასკებმა 24 ივლისის შემაღენლობაში ერთი ცვლილება
შეიტანეს: ეჩებარია სუბიეტამ შეცვალა. შესაძლოა, ეს იმით
იყო გამოწვეული, რომ ეჩებარია წინა შეხვედრაში ვერ გაუმ-
ქლავდა თ. გავაშელს.

ნაკრებში „დინამოს“ მარცხენა ფრთა შეიცვალა: მარცხენა
ინსაიდად გამოიყვანეს გ. ბერძენიშვილი, მარცხენა გარემარ-
ბად — თბილისის ლოკომოტიველი გ. ჭავჭავა.

¹ მოგვყავს რამდენადმე შემოკლებით.



ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს სათაღარიგოთა სკა-
მი (აქ თითქმის მთელი გუნდი იყო!): დინამოელების მექანიკ
ე. ბუშნი, მცველები ე. ნიკოლაიშვილი და ა. კიქნაძე, ნახე-
ვარმცველები ნ. ანიკინი და ბ. ბერძენიშვილი (მიხეილის
ძმა), თავდამსხმელი ლ. ლოლაძე, მათთან ერთად მეკარე
ა. ტყებუჩავა (ოჩამჩირე), ნახევარმცველები ბ. ფროლოვი
(ბათუმი) და თავდამსხმელი გ. აფრიდონიძე („ლოკომოტივი“).



ბასკები — საქართველოს ნაკრები. ბურთით ჭუმბურიძე. მარჯვნივ
კაპიტნის სამკლაურით შეგულიძე, იქვეა მინაევი.
მარცხნივ მ. ბერძენიშვილი.

ბასკებმა მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ მატჩის
ფაქტოურად სარევანშო ხასიათი ჰქონდა და დასაწყისშივე
მძაფრად შეუტიეს კარს. შეუტიეს და წარმატებასაც მიაღ-
წიეს: მე-5 წუთზე ალონსოს მოწოდებიდან ლარინაგამ გახსნა

ანგარიში, ხოლო მალე თვით ალონსომ გაიტანა მეორე გოლი.


საპასუხო იერიში. ბლასკო იგერიებს ჯეჭელავას, მზერის გოლი კარგად დარტყმულ ბურთს. თამაში კვლავ ნაკრების ნახევარზე გადმოდის. ზედიზედ ორჯერ დოროხოვი იღებს ლანგარას ძლიერად დარტყმულ ბურთებს. 26-ე წუთზე ლანგარა თავს აღწევს მინაევის მეურვეობას და მის მიერ კარისაკენ ძლიერად გაგზავნილი ბურთი კარის ძელს ხვდება და რიკოშეტით ბალეში ეხვევა. 3 : 0.

ნაკრების თავდასხმისაგან მეტს მოელოდნენ. დაზიანებულ მ. ბერძენიშვილს ლოლაძე ცვლის. 35-ე წუთზე კარი აშკარა გოლს გადაარჩინა ჭუმბურიძემ, რომელმაც ეს შეხვედრა საერთოდ მაღალ ღონეზე ჩაატარა და თამაშიდან გამოთიშა ბასკების მეტად საშიში გარემარბი გოროსტიცა. მე-40-ე წუთზე პაიჭაძის დარტყმული ბურთი კარის ძელს ხვდება.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპმა იქლო. ანიკინმა გაგუა შეცვალა, აფრიდონიძემ — ჯეჭელავა.


მე-6 წუთზე ნაკრების შეტევისას ერთ-ერთმა ბასკმა ფეხ-ბურთელმა საჭარიმო მოედანზე ხელით ითამაშა. თერთმეტ-მეტრიანების „სპეციალისტი“ მ. ბერძენიშვილი ამ დროს მოედანზე არ იყო.

— ოფიციალურ შეხვედრებში, მანამდე, თერთმეტმეტრიანი არ დამირტყამს. არა და, ბიჭები შემომეხვივნენ, შენ უნდა დაარტყაო. გუნებაში ბერძენიშვილს შევუკურთხე, მიშა, სად ხარ, შემოდი და დაარტყი-მეთქი. რას ვიზამდი. ვითიქრე, რაც იქნება იქნება, ვეცდები ბლასკოსგან ერთი მეტრით გვერდზე მაინც დავარტყა... — ბორის პაიჭაძე პაუზას აკეთებს და თავმდაბლურად აცხადებს, — დარტყმა გამომივიდა, რაც მართალია, ბლასკომ განძრევაც ვერ მოასწრო.



ბასკები — საქართველოს ნაკრები. მეკარე ბლასკო ილებს
მალალ ბურთს. მარცხნივ — აედო, მარჯვნივ — აჩესუ.
ბლასკოსა და აჩესუს შორის — აფრიდონიძე.

ინიციატივა ნაკრების ხელშია. პატარე ოსტატური დრიბ-
ლინგით სამჯერ გადის ბასკების კართან. მაგრამ ვერც ერთხელ
ვერ ახერხებს დარტყმას. ბლასკო მთელი დატვირთვით მუ-
შაობს. ერთ მომენტში კართან არევ-დარევის დროს ზიანდება



ბასკები — საქართველოს ნაკრები. თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს ას-
რულებს პაიჭაძე. მის მარჯვნივ — არესუ. მარცხნიდან პირველი —
გავაშელი, მექარისგან მარჯვნივ — ვ. ბერძენიშვილი, მის ზურგს-
უკან სილამეში — ანიკინი, მარჯვნივ (დოინჯით) — მუგურესა.

სილაურენი. მას ბარხოსი ცვლის. ბასკების თავით თამაშს
აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. მან ტაშით დააჯილდოვა
ბარხოსი, რომელიც გაცურდა მინდორზე და თავით აიღო და-
ბალი ბურთი.

შუა ტაიმში აქტიურად ებმება თამაშში დოროხოვი. ჯერ
მან რისკიანი ნახტომით აიღო გოროსტიცას დარტყმული ბურ-



თი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ უკნებელყო ლანგარას უკმბარისებური დარტყმა.

38-ე წუთზე გოლის გატანის შანსი მიეცა ასლამაზოვს (რომელმაც მეორე ტაიმში ვ. ბერძენიშვილი შეცვალა), მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი ააცდინა კარს. ასევე მომენტი ვერ გამოიყენა ალონსომ, რომელიც ოსტატურად გასცდა შავგულიძეს. ბოლო წუთებში კვლავ გაიგრა კარისაკენ პაიჭაძე, მაგრამ მისი სწრაფი წინსვლა სარმით შეაჩერეს, ფეხნატენი პაიჭაძე შეცვალეს.


საერთოდ საქართველოს ნაკრებს მეორე ტაიმში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო მისი რეალიზაცია.

შეხვედრა მოიგეს ბასკებმა, ანგარიშით 3 : 1.

„საქართველოს ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა გაითვალისწინეს „დინამოსთან“ ბასკების შეხვედრის გაკვეთილები, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“, — ამ დღეს ისინი უფრო გააზრებულად, შეთანხმებულად და მეტის მონდომებით თამაშობდნენ. განსაკუთრებით კარგი იყვნენ დოროხოვი, შავგულიძე, კუმბურიძე, მინაევი, პაიჭაძე... ბასკების მხრიდან შესანიშნავად თამაშობლნენ მცველები არესუ და აედო, სილაურენი, ალონსი, ლარინაგა და ლანგარა“.

— შესანიშნავი ბიჭები იყვნენ, ნამდვილი მებრძოლები, — ამბობს ქართული ფეხბურთის სიამაყე ბ. პაიჭაძე. — ახლაც თვალწინ მიდგას მათი სახეები ფუნიკულიორის პლატოდან სევდაჩამდგარი თვალებით რომ გაჰყურებდნენ თბილისს. ოცნებაში წასულმა მექარეთა რისხვამ, „ტანკად“ მონათლულმა ლანგარამ თავისითვის ჩაიდუღუნა: „შეხედეთ, როგორ ჰგავს ჩვენს მშობლიურ ბილბაოს!“¹.

¹ ო. გაგუა. ბორის პაიჭაძე. თბილისი, 1975. გვ. 86.



— მაინც როგორ ჩამოჰვავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს? — თითქოს გააგრძელა ოდრინდელი მოგონება ბორის სოლომონის ძემ ჩემთან ამასწინანდელ საუბარში, — მახსოვს ერთ სალამოს „ინტურისტში“ ვევდებოდით ბასკ ფეხბურთელებს. ჩვენ „სულიკო“ წამოვიწყეთ, თითქმის მაშინვე აგვაზნენ. თბილისში ყოფნის დღეებში მუდამ „სულიკოს“ მღრღოდნენ. მაშინდელ შეხვედრაზე ბასკური იმღერეს და წარმოიდგინეთ სრულებით არ გავვძნელებია ხმების შეწყობა. არა, არა, ნამდვილად ძალიან ჩამოგავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს.

გოლო მატჩი

ბასკები მოსკოვში მინსკის გავლით ჩამოიყვანა მატარებელმა პოლონეთიდან. ბელორუსის დედაქალაქში ისინი შეპირდნენ მასპინძლებს, რომ აუცრლებლად გამართავდნენ მატჩს მათ ქალაქში.

და აი, დაპირებისამებრ ბასკეთის ნაკრები მინსკშია. 9 აგვისტოს აქ, ს. კიროვის სახელობის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები გაივსო მაყურებლებით. ბევრია ჩამოსული სმოლენსკიდან, ბობრუისკიდან, მოგილიოვიდან... გულშემატკივართა ნამდვილი მოზღვავებაა შესასვლელთან. აბა, 15 ათასიანი სტადიონი როგორ დაიტევს ამდენ მსურველს... უყვართ ფეხბურთი ბელორუსიაში, მისი განვითარება რესპუბლიკაში დაკავშირებულია სპორტსაზოგადოება „დინამოსთან“. სწორედ მინსკის „დინამო“ იყო ბელორუსის პირველი გუნდი. რომელიც ჩეგა სსრ კავშირის თასის პირველივე გათამაშებაში.


მომდევნო წელს „დინამო“ საჩემპიონატო გათამაშებაში ჩაერთო, მაგრამ დებიუტი უიღბლო გამოდგა: გუნდმა და მას ჯგუფში ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა. 1938-1939 წლებში „დინამო“ მხოლოდ ბელორუსის ჩემპიონატში მონაწილეობდა. სამაგიეროდ, საკავშირო სარბიელზე გამოჩნდა მინსკის „სპარტაკი“. 1939 წელს „ბ“ ჯგუფში გუნდი 23 მონაწილეს შორის 21-ე იყო (გაიმარჯვა მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“, მეორე ადგილი დაიკავა თბილისის „ლოკომოტივმა“, მესამე—როსტოვის „დინამომ“), მაგრამ დაამარცხა ლენინგრადის გუნდები „ზენიტი“ და „ავანგარდი“. 1940 წელს „ბ“ ჯგუფშია მინსკის „დინამო“, რომელმაც საბოლოოდ საპატიო მე-6 ადგილი დაიკავა.

ასეთ ვითარებაში, ადგილობრივი ფეხბურთი, ეჭვს გარეშე, ოდნავადაც ვერ გაუმკლავდებოდა ბასკონის უმაღლესი კლასის გუნდის. ამრიცმაც მიღებული იქნა საგსებით ლოგიკური გადაწყვეტილება ბასკეთის ნაკრების წინააღმდეგ ეთამაშა მინსკის „დინამოს“ ბაზაზე შექმნილ ნაკრებს, გაძლიერებულს სხვა გუნდების ფეხბურთელებით.

ბასკეთის შემადგენლობა იგივე იყო, რაც თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრაში.

მინსკის ნაკრები შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა: მ. ლეონოვი, კ. ლიასკოვსკი, (ორივე ცდკა), მ. ერიომენკო, მ. ლვოვი, პ. კუდრიავცევი (მოსკოვის „მეტალურგი“), რ. ოვსეენკო (მოსკოვის „პიშჩევიკი“) ვ. პანფილოვი, ლ. რუმიანცევი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. გუსევი (გუნდის კაპიტანი), ვ. ლახონინი, ნ. ზინოვიევი.

პირველი წუთები, როგორც მოკრივეები იტყვიან, გაცვლითი დარტყმებით აღინიშნა: რუმიანცევის დარტყმა აცდა



კარს, ხოლო ლანგარას უძლიერესად დარტყმული ბურთი ბოძს მოხვდა. უსიამოვნებას აყენებს ბასქებს სწრაფი პანფილოვის გარღვევები, ლეონოვი სხარტი ნახტომით იღებს ლანგარას მიერ კარისკენ გაგზავნილ ბურთს.

მე-5 წუთზე ზინოვიევმა და ლახონინმა სწრაფად და ლამაზად გაითამაშეს კომბინაცია და ლახონინმა ბურთი კარის დაბალ მარცხენა კუთხეში გაგზავნა.


მაყურებელთა აღტაცება უსაზღვროა, ტრიბუნიდან ჰაერში წითელ ბურთს უშვებენ.

ბასქები არ მოელოდნენ ასეთ დასაწყისს. ისინი ათამაშდნენ ჩვეული ძალითა და ოსტატობით. სტუმრები ცდილობენ ითამაშონ მაღალი მიწოდებებით, მაგრამ მინსკის ნაკრების ტანმაღალი დამცველები მოწოდების დონეზე არიან. ლანგარა ძლიერად ურტყამს საჯარიმოს და მექარე ლეონოვი მაყურებელთა ოვაციას ქვეშ სხარტად იღებს ბურთს. მე-13 წუთზე გუსევი ჭარიმდება. სილაურენი დაახლოებით 30 მეტრიდან საჯარიმო მოედნის ფარგლებში გზავნის ბურთს. კუდრიავცევი ვერ ასწრებს რეაგირებას და ლანგარა, როგორც თვითონ ამბობს „საყვარელი მდგომარეობიდან“ თავური დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს.

საპასუხო იერიშისას რუმიანცევი გვერდს უვლის რამდენიმე მეტოქეს, მაგრამ ხელებში აძლევს ბურთს ბლასკოს.

ბასქები იერიშებს დღეს უმეტესად მარცხენა ფრთიდან იწყებენ. ეხლაც, მარცხნიდან მიღებული ბურთით კარისაკენ გაიჭრა ლანგარა, მაგრამ ლეონოვი გაბედული ნახტომით ფეხიდან აცლის ბურთს.

30-ე წუთზე სილაურენმა საქმაოდ შორიდან კარისაკენ




გასკები — მინსკის ნაკრები. სეკუნდიც და ლანგარას მიერ თავით
ოსტატურად დარტყმული ბურთი მინსკელთა კარის ბადეში
გაეხვევა. (მარცხნიდან) პ. ჩეგეირო, ერიომენკო, ლიასკოვსკი,
ლანგარა და კულტრიავცევი. მარჯვნივ, სიღრმეში — სილაურენი.
ი. ვანიატის ფოტო

გაგზავნა „ჩახეული“ ბურთი, ლეონოვი აშკარად მოტყუვდა
და ხელზე აცურებული ბურთი ბადეში ჩაეშვა.

პირველი ნახევრის ანგარიშია 2 : 1.

დაიწყო მეორე ნახევარი და ბურთი მინსკელთა საჯარიმო-
დან არ გამოდის. როგორც ერთმა კომენტატორმა დათვალა,
ამ მომენტში, მასპინძელთა კარის წინ 17 მოთამაშე იყო. ნერ-
გებმა უმტყუნეს ლეონოვს, რომელიც მანამდე მშვენიერად



ბასკები — მიწსკის ნაერები.. ლეონოვი იღებს ბურთს. იქვე
ახლოს — ლანგარა და მის მარცხნივ კუდრიავცევი.

თამაშობდა, მან წინდაუხედავად დატოვა კარი, რითაც მომენ-
ტალურად ისარგებლა გორისტიცამ. 3 : 1.

თამაში, როგორც იტყვიან, გაკეთებულია. ბასკები იწყებენ
ტექნიკის დემონსტრირებას, ხანგრძლივად გადასცემენ ბურთს
ერთმანეთს თავით, ტრიბუნაზე გაისმის მოწონების ტაში.

მინსკელები ცდილობენ იერიშის განვითარებას. რამდენ-
ჯერმე ბასკების კარი საშაშროების წინ იყო, მაგრამ როგორც
სპორტული კომენტატორი შენიშნავდა, მინსკელი ფორვარდე-
ბი კარის გასწვრივ მყოფ ფოტორეპორტიორებს უფრო უმიზ-
ნებდნენ, ვიდრე ბასკების კარს.

მე-14 წუთზე ერიომენქო ხელით იჭერს საჯარომო მოედანზე შეკრილ გოროსტიცას. თერთმეტმეტრიანი მაჯარომო ბურთს დინჯად უახლოედება ლანგარა, იგი კორპუსით მარცხნივ იხრება, ლეონოვი წონასწორობას კარგავს, ლანგარა კი მარჯვენა ფეხით მეკარისაგან მარჯვენა კუთხეში ძლიერად გზავნის ბურთს.

25-ე წუთზე ბასკებმა შეუტიეს მინსკელთა კარს და არც თუ მეკარე ლეონოვის დაუხმარებლად ზრდიან ანგარიშს, ხოლო ორი წუთის შემდეგ ისევ ლეონოვი უშვებს შეცდომას — კარიღან გამორჩის და ლარინაგას გააქვს მეექვსე გოლი.

უკანასკნელ წუთებზე, განსაკუთრებული დიდი სისწრაფის წყალობით გარღვევაზე გადის პანფილოვი. ბლასკო ფეხებში უვარდება მას, მაგრამ ბურთი რიკოშეტით ცარიელი კარისაკენ მიფრინავს. აქ იმარჯვა სილაურენმა და ზედ კარის ხაზიდან გამოაბრუნა ბურთი.

საფინალო სასტვენი. 6 : 1 კვლავ გაიმარჯვეს ბასკებმა: თვენახევარი გაგრძელდა ბასკეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ტურნე საბჭოთა კავშირში. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და მინსკის ხალხით გადაჭედილ სტადიონებზე ბასკებმა 9 მატჩი გამართეს, აქედან, შვიდ შეხვედრაში გაიმარჯვეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და ერთხელ დამარცხდნენ. მეტოქეთა კარში გაიტანეს 32 ბურთი, საკუთარ კარში 17 მიიღეს. ოცდათორმეტიდან ი. ლანგარას ანგარიშზეა 15 გოლი, ე. ლარინაგასი — 4, სამ-სამი გოლის ავტორები არიან ლ. რეგეირო (მას ბოლო სამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია) და გ. გოროსტიცა.

ბასკეთის ფეხბურთელთა ბრწყინვალე გუნდის გამოსვ-

ლას ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ფეხბურთის განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის საქმეში ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. „სსრ კავშირში ბასკების ჩამოსვლამ საბჭოთა ფეხბურთის ტაქტიკის განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა, — წერდა მ. მერუანოვი, — ცხადი გახდა, რომ ქველებურად თამაში უკვე აღარ შეიძლება — საჭიროა თამაშის ტაქტიკის შეცვლა. დამცველებისა და თავდამსხმელების განლაგების სქემა სხვანაირად უნდა მოეწყოს, ვისწავლოთ ახალი გეგმის მიხედვით მოქმედება“.

მოვუსმინოთ ა. აკიმოვს: „ბასკებთან შეხვედრებმა გვიჩვენეს, რომ ჩვენ მცერ თამაშის აღიარებული სისტემა „ხუთნი ხაზზე“ ჩამოუვარდებოდა „დუბლ-ვეს“ სისტემას. მაგრამ ისევე როგორც ყოველი სიახლე, ახალი სისტემა ძნელად იძნდა „მოქალაქეობის უფლებას“. ჩვენს გუნდებში გარკვეული შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობდა თამაშის ახალი სისტემისათვის: ერთნი მთლიანად გადავიდნენ მასზე, სხვები ჯიუტობრნენ და შეუპოვრად იცავდნენ მათ საყვარელ სისტემას „ხუთნი ხაზზე“. რყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მიიღეს „დუბლ-ვეს“ სისტემა, შეუდგნენ მის სრულყოფას და თამაში შემოქმედებით გამოყენებას“.

„სტუმრებმა აჩვენეს ძალზე მაღალი კლასის ფეხბურთი. მათი ტექნიკა, ხაზებისა და რგოლების ურთიერთმოქმედება ისეთი იყო უკეთესს რომ ვერ ისურვებდი, — წერს ან. სტაროსტინი, — მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მათი ტაქტიკა ეყრდნობოდა ჩვენი იმდროინდელი ფეხბურთისათვის უცხო თამაშის პროგრესულ სისტემას. ბასკებმა ჩაგვიტარეს მოთამაშეთა ყველაზე მრანგშეწონილი განლაგების თვალსაჩინო გაკვეთილი, ისინი თამაშობდნენ ცენტრალური მცველით,

რომლის ხსენებაც კი არ იყო ჩვენთან... ბასკების ჩამოსვლა
ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში დიდი მოვლენა იყო ყოფილ
შემთხვევაში, მათთან შეხვედრების შემდეგ ქვეყნის უკელა
წამყვან გუნდში დაიწყო სრული ტაქტიკური გადახალისება.
„დუბლ-ვეს“ სისტემა ჩვენი მწვრთნელების მიერ შემდგომში
განვითარებული და გაღრმავებული იქნა „სამი დამცველის“
სისტემად, ჩვენი ფეხბურთი დაბადების თარიღად 1937 წლის
ივლისს უნდა მიიჩნევდეს... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაია-
რა, მაგრამ ბასკი ფეხბურთელებისაგან მიღებულ გაკვეთი-
ლებს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ“.

ომამდელი ფეხბურთის რომელმა მოყვარულმა არ
იცოდა მათი სახელები, მთელს ევროპაში რომ გრგვინავ-
ლნენ, — წერს ვ. პონედელნიკი, — დიახ, მაშინ ბასკები იყვ-
ნენ პირველი მასწავლებლები, რომლებმაც საბჭოთა ფეხ-
ბურთს ჩაუტარეს გაკვეთილი როგორ უნდა გვეთამაშა
„დუბლ-ვეს“ სისტემით. ყველა შეხვედრა მოსკოვსა და სხვა
ქალაქებში ესპანელი ფეხბურთელების უპირატესობით აღი-
ნიშნა და მხოლოდ „სპარტაკმა“ ძმები სტაროსტინების თავ-
კაცობით შესძლო გარდაექმნა დაცვა ახლებურ (ესპანურ) ყაი-
დაზე და გაემარჯვნა!“.

კიდევ მრავალი მოსაზრების მოყვანა შეიძლება, მაგრამ
რაც ითქვა ისიც საკმარისად მიგვაჩნია იმისათვის, რომ სათა-
ნადო მივუზღოთ ბასკთა ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები
გუნდის საბჭოურ ტურნეს. გარდა წმინდა სპორტული მნიშვ-
ნელობისა, ბასკი ფეხბურთელების მატჩებმა ცხადყვეს საბ-
ჭოთა ხალხის დიდი სიყვარული და თანაგრძნობა რესპუბლი-
კური ესპანეთის მებრძოლი ხალხის მიმართ. ეს იყო საბჭოთა

ადამიანების ინტერნაციონალური სულისკვეთების კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაცია.

მაღლობის მგზნებარე სტრიქონებით იყო სავსე ბასკთა ქვეყნის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელის მანუელ და ლა სოტას წერილი, რომელიც ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა:

„თვენახევარზე მეტია ჩვენ ვიმყოფებით შესანიშნავ ქვეყანაში, სადაც ასე გულითადად და თბილად არიან განწყობილი რესპუბლიკური ესპანეთის წარმომადგენლების მიმართ. როცა ჩვენ ვიგონებთ საბჭოთა კავშირში გატარებულ დღეებს, სურვილი გვიჩნდება განვაცხადოთ, რომ თავი ჩვენთან, სახლში გვგონია. გმადლობთ მეგობრებო!

ყოველ ქალაქში, ოქვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკაში ჩვენ ვგრძნობდით ერთსა და იმავეს: დაუვიწყარ გულითადობას და სითბოს. მოსკოვში, ლენინგრადში, საქართველოს დედაქალაქ თბილისში, უკრაინის დედაქალაქ კიევში (ეს წერილი მინსკში ბასკების ჩასვლამდე გამოქვეყნდა, — გ. მ.) შეგვხდნენ გულთბილად. ჩვენ აგვალელვა ზრუნვამ ჩვენს გუნდზე — ბასკთა ქვეყნის წარმომადგენლებზე. არასდროს დაგვავიწყდება ქვეყანა, სადაც პატარა მოქალაქეები პატივად მიიჩნევენ ატარონ რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლთა ქუდები. არ დაგვავიწყდება სტუმართმოყვარეობა. საქართველოსი, სადაც ჩვენი გუნდის კაპიტანს ლუის რეგეროს და ირარაგორის შესთავაზეს დაესვენათ კურორტ ბორჯომში.

გაივლის კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენ გავცდებით ჩვენი ძვირფასი ქვეყნის საზღვრებს. მივდივართ ნორვეგიაში, სადაც 22 და 28 აგვისტოს ვითამაშებთ ორ მატჩს. ხოლო შემდეგ — ესპანეთი და ისევ ჩრდილოეთის ფრონტი გამარჯვების მხურვალე სურვილით“.

სამწუხაროდ, ისევ ესპანეთში დაბრუნების სურვილს აღსრულება არ ეწერა. 1937 წლის ივლისში დაეცა ბილბაო. შემოდგომამდე მეამბოხეთა ჯარებმა ბასკთა ქვეყანა დაიკავეს, ხოლო 22 ოქტომბერს ხელში ჩაიგდეს ჩრდილოეთის დამცველთა უკანასკნელი ბასტიონი ქალაქი ხიხონი. „ჩრდილოეთის დაცემის შემდეგ რესპუბლიკის მცხოვრებთა, ჯარებსა და ხელმძღვანელობას შორის იწყო გავრცელება აშკარა კაპიტულანტურმა განწყობილებამ“¹.

ერთი სიტყვით, ბასკმა ფეხბურთელებმა აღარ ისურვეს ფრანგისტული რეჟიმის პირობებში დაბრუნება და ისინი საცხოვრებლად მექსიკაში² გაემგზავრნენ.

დიდხანს ბასკეთის ამ შესანიშნავი გუნდის წევრთა შესახებ არაფერი ისმოდა და აი, მათი გაცნობიდან 27 წლის შემდეგ ყოველკვირეულ დამატება „ფუტბოლში“ დაიბეჭდა ან. სტაროსტინის წერილი „და ისევ ბასკები“, 1971 წელს კი სპორტული უურნალისტის ო. ნოზაძის საინტერესო მიმოხილვა (გაზეთ „ლელო“) „ადამიანი — გოლი“, „ოქროს ქვემეხი“, „ტანკი“... ამ მასალებიდან ზოგი რამ ცნობილი გახდა ბასკთა ქვეუნის ამ ფეხბურთელთა სპორტული საქმიანობისა და ცხოვრების ირგვლივ.

ერთ ხანს კვლავ ერთად გამოდიოდნენ. 1937 წელს მონა-

¹ Мещеряков М. Испанская республика и коминтерн. М. 1981 стр. 97

² საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბასკების ემიგრაცია (ცხადია, იძულებითი) მე-17 საუკუნიდან დაიწყო. პირველი ქვეყანა, სადაც ბასკებმა მორჩილო ჰქოვეს, სჭორედ მექსიკა იყო (БЭС.2-ое изд. 1950. ТIV).

წილეობა მიიღეს ქვემო მექსიკის პირველ ჩემპიონატში. მათ გუნდს „ევსკადი“ (ბასკეთი) ერქვა.

მეტია ცნობები ისიდრო ლანგარას შესახებ, ოთხი წლის მანძილზე გამოდიოდა ის არგენტინის ერთ-ერთ გუნდში. 1943-46 წლებში ისევ დაბრუნდა მექსიკაში და მეხიკოს „ეს-პანიაში“ თამაშობდა. 1944 წლის სეზონში 40 ბურთი გაუტანია, 1947-48 წლებში დაუბრუნდა ასტურიის მთავარი ქალაქის ოვიედოს „ოვიედო ფუტბოლ-კლუბს“. გუნდს, სადაც 1930 წელს პროფესიულ ფეხბურთში მოვიდა ცენტრალურ თავდამსხმელად. 1948 წელს კი 36 წლის ასაკში თამაშისათვის თავი გაუნებებია. ყურნალისტი ო. ნოზაძე წერს, რომ IX მსოფლიო ჩემპიონატის (მექსიკა, 1970 წლის მაის-ივნისი) დღეებში ადგილობრივ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მასალები ბასკი ფეხბურთელების და განსაკუთრებით ისიდრო ლანგარას შესახებ.

ცენტრალური პრესის ფურცლებიდან ცნობილი გახდა ისიც, რომ გ. გოროსტიცა 40-იან წლებში გამოდიოდა ესპანეთის „ვალენსიაში“.

ან. სტაროსტინი ბასკებთან აღრინდელ შეხედრებზე მოგვითხრობს, კერძოდ, 1964 წლის დასაწყისში, როცა ჩვენი კლუბების ნაკრები მექსიკაში იყო მიწვეული ტრადიციულ „ტორნეო სექსტაგონალზე“ (ექვსთა ტურნირი). ჩვენს გარდა ტურნირში მონაწილეობდა იუგოსლავის „პარტიზანი“, ბრაზილიის „სან-პაულო“ და სამიც ადგილობრივი გუნდი — ქვეყნის ჩემპიონი „გვადალახარა“, „ამერიკა“ და „ნეკახა“.

საკლუბო ნაკრებში ქართველ ფეხბურთელთაგან იყო მხოლოდ მექარე რამაზ ურუშაძე, რომელმაც ავად გამხდარი ლ. იაშინი შეცვალა.




სხედან (მარცხნიდან) კ. ბესკოვი, პ. რეგეირო, ე. ლარინაგა, ან. სტაროსტინი, ლ. ჩეგეირო, მ. ალეგრია, ე. ალონსო ჩვენი ნაკრების გუნდის წევრებთან დგას (მარცხნიდან, მერვე) რ. ურუ- შაძე. 1964 წ.

ჩვენმა გუნდმა „პარტიზანთან“ ფრედ (1 : 1) ითამაშა, და- ნარჩენი ოთხი მოიგო და ტურნირში სამი ქულის უპირატესო- ბით გაიმარჯვა.

— ჩვენ ვარჯიშს ვაგრძელებდით, — მოგვითხრობს ვ. პო- ნედელნიკი წიგნში „საჯარიმო მოედანზე“, — ჩვენი ხელმძღვა- ნელობა კი ადგილობრივი ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად თურმე სიურპრიზს გვიმზადებდა. ჩვენთან სასტუმრო- ში სტუმრად მოვიდნენ ბასკები. დიახ, დიახ სწორედ ის სა- ხელგანთქმული ბასკები — ესპანელი ფეხბურთელები, რომლე- ბიც 1937 წელს იყვნენ საბჭოთა კავშირში.

ნაკრების ხელმძღვანელობა — ან. სტაროსტინი, კ. ბესკოვი
და ნ. გულიაევი — სასტუმროში შეხვდა ბასქებს. ან. სტაროსტინი
გადაეხვია ძველ მეგობრებს, აქ იყვნენ ლუის და პედრო
რეგეიროები, ი. ლანგარა, გ. ბლასკო, ე. ლარინაგა და
ე. ოლონსო.



სპორტის დამსახ. ოსტატი ვ. პონედელნიკი და
ისიდრო ლანგარა. 1964 წ.

გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. ბევრი მათგანი სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში გამოდიოდნენ, მაგრამ თავიანთი საფეხბურთო კარიერა მექსიკის კლუბებში გამოსვლით დაამთავრეს. ბასქმა მეგობრებმა განსაკუთრებული სიამოვნებით გაიხსენეს საბჭოთა ხალხის სტუ-

მართმოყვარეობა. მათ ყველაფერი კარგად და ზუსტად, ასეთი დათ. ბასკებმა შესთავაზეს „მასპინძლებს“, მათთან ურთად ემღერათ „კახოვეა“. „მღეროდნენ რუსულად, მღეროდნენ შეწყობილად და ჩვენგან განსხვავებით ზეპირად ახსოვდათ მთელი სასიმღერო ტექსტი ლექსისა“ — წერდა ან. სტაროსტინი.


საერთო სიცილში ბასკებმა დაითვალეს, რომ შეხვედრაზე მყოფ ექვს ბასკს ოცდაათი შეილი ეზრდებათ. ლუის რეგეიროს ვაჟი მექესიკის პროფესიულ გუნდში გამოდის, მაგრამ როგორც ან. სტაროსტინი წერს მამისგან ოსტატობით ძალზე შორს ყოფილა. მიუხედავად ამისა, მამამისის შენიშვნებს არ იზიარებს და უპასუხებს: „მამაჩემო, შენ ხომ ოთხკუთხა ბურთით თამაშობდი!“

ცხოვრობენ ემიგრანტული ცხოვრებით, ერთიან ოჯახად, მეგობრულად. ლუის რეგეირო მათ შორის ისევ ისე შეუვალი ავტორიტეტია. „რეგეიროს არ დაუკარგავს ახლის გაგების გრძნობა, — წერს სტაროსტინი, — აღნიშნა, რომ მსოფლიო ფეხბურთში თამაშის კლასი ამაღლდა. დადებითად აფასებს ბრაზილიური სისტემის ღირსებებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფლანგებიდან შეტევას“. მართალია, ახლა უშუალოდ არ არიან ჩაბმული საფეხბურთო ფერხულში, მაგრამ სისტემატურად ესწრებიან თამაშებს, უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ მექესიკაში.

ყველა ბასკმა ერთხმად აღნიშნა, რომ საბჭოთა ფეხბურთი ხარისხობრივად მნიშვნელოვნად ამაღლდა, განსაკუთრებით ტექნიკის ხაზით.

შემდეგ ბასკებმა მიიპატუეს ჩვენები და სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს.

რას აკეთებენ, რითი ცხოვრობენ?



დგანან, პირველ რიგში (მარცხნიდან) ვ. ჩეგეირო (მეორე), ს. აედო
(მესამე), ი. ლანგარა (მეოთხე), დე ლა სოტა (მეხუთე). მეორე
რიგში ან. სტაროსტინი (შუაში), მისგან მარცხნივ — ე. ალონსო,
მარჯნივ — ლ. ჩეგეირო. 1970 წ.

ისინი, ძირითადად, წვრილმეწარმოებას მისდევენ. „ლუის
რეგეირომ პატარა პორტფელზე მიმითითა და ირონიუ-
ლად თქვა: „სავსეა, მაგრამ გაუნაღდებელი ანგარიშებით“ და
ლიმილით დაუმატა, „შედეგიანობა დაბალია“, — წერს სტა-
როსტინი.

ე. ალონსო პოლიგრაფიული საწარმოს მეპაიეა, გ. ბლას-
კო მუშაობს შესაფუთი ტარის დამზადების ხაზით, ე. ლა-

რინაგა — საავეჯო წარმოებაში. უკეთესად აქვს საქმე უცოლე
შვილო ი. ლანგარას — იგი პატარა ბარის მფლობელია.

* * *

აი, ყველაფერი ის, რისი მიგნებაც შევძელი. დიდი ხნის
წადილი ავისრულე, სიჭაბუკის ლამაზ ლეგენდასავით დამდევ-
და ბასკეთის ამ ბრწყინვალე გუნდის გამოსვლები.

მოგონილი თავმდაბლობის გარეშე პირდაპირ მინდა ვთქვა:
მასალების შეგროვებას დიდი დრო, მოთმინება და რუდუნება
დასჭირდა. უახლოესი პერიოდის ხელმისაწვდომ გამოცემათა
ძუნწი ინფორმაცია ბასკეთის ფეხბურთელთა მატჩების შესა-
ხებ ბევრს ვერაფერს აძლევს ჭეშმარიტ გულშემატკივარს,
რომლის დაუკებელი სურვილია, უფრო ლრმად შეიხედოს
საფეხბურთო სამზარეულოში, რამდენადმე მაინც განიცადოს
სამატჩო პერიპეტიები.

გულითად მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც პირდაპირ
თუ არაპირდაპირ მხარში ამომიღვა, ვიმეორებ, ჩემი ამ დიდი
ხნის წადილის ასრულებაში.

შ 0 6 ა ა რ ს 0

სავიზიტო ბარათი	20
მოსკოვში	22
პირველი მატჩი	23
ერთადერთი ფრე	39
მატჩი-რევანში	46
გამარჯვებაზ არის!	55
რიგი კიევზეა	65
ორი მატჩი თბილისში	70
ბოლო მატჩი	91
ეპილოგის მაგიერ	100

ს.ბ. № 1319

რედაქტორი ნ. ანთელავა
 მხატვარი შ. დოლიძე
 მხატვრული რედაქტორი ჭ. ყავლაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი ვ. პირველი
 კონტრ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე
 კორექტორი ნ. ნატროშვილი
 გამოშვები მ. ნიკაბაძე

გადაეცა ასაწყობად 20.01.84, ხელმოწერილია დასაბეჭდად
 09.07.84. ანაწყობის ზომა $5,5 \times 7$, ქაღალდის ზომა $70 \times 108\frac{1}{82}$,
 ნაბეჭდი თაბახი 4,90, საბ. ქაღალდი № 1, საღებავგატარება
 5,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,98
 ტირაჟი 10.000, შეკვეთა № 493 ფასი 30 კაპ. უე 13106

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.

Издательство «Накадули»,
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგ-
 ნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის
 ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе,
 Государственного комитета Грузинской ССР по
 делам издательств, полиграфии и книжной тор-
 говли, пр. Дружбы № 7



**Махарадзе Георгий Исидорович
НА ПОЛЕ ВИРТУОЗЫ ИЗ БАСКОНИИ**

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1984



GEORGIY MAHARADZE

**„EUSKALERRITIK MAISU AUNDIAK DIRA
FOOTBALL—ZELAIAN)
TBILISI, 1984**

ძვირფასო მკითხველო
გთხოვთ მოგეწეროთ თქვენი აზრი
ამ წიგნზე.

ჩვენი მისამართია

თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 15
„ნაკადულის“ საბავშვო წიგნის საბლო.

၁၇. ၂၃-၂၀-၁၄
၂၃-၂၀-၁၄



გ. მახარაძე
მ. 443

მოედანზე არიან ბასკი ვირტუოზები, თ., „ნაკადული“,
1984

ლეგენდასავით გადადის თაობიდან თაობაში ბასკი ფეხბურთელების
თამაშის ამბავი. წიგნში მოთხოვობილია, როგორ თამაშობლები ისინი და
რა საქმიანობას ეწევიან ამგამალ.

